MES 4 21 0000514088

02/06/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 18.05.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:15 სთ
სხდომის დასრულების დრო: 22:26 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **აწზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
13. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
15. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
17. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

საბჭოს მოწვეული წევრები:

1. **ივანე აბაშიძე -** სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს (შემდგომში -სააგენტო) დირექტორის მოადგილე;
2. **ნუგზარ ბოლქვაძე -** შორეული ნაოსნობის კაპიტანი, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის საზღვაო ელჩი საქართველოში.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ნინო გულიაშვილი	

		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ლალი ხვედელიძე	შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი	I, II
2	ნათია მიქელთაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
3	კონსტანტინე ბოხუა		იურისტი	I, II
4	ვახტანგ თავბერიძე		„საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
5	გიორგი გაბედავა		„საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი	I, II
6	ომარ ლომიძე		„გემის მექანიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
7	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV
8	ნუგზარ წერეთელი		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	III, IV
9	მაია მშვილდაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	III, IV
10	მამუკა მაისურაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV
11	ნაზი კუციავა		„ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV
12	თეიმურაზ ჭეიშვილი		„ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია“ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV
13	ნანული დანელია		ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	III, IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი		საკითხი

		ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	
1	შოთა კუნჭულია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო გორგოშაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	გივი სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ვალერი ჯაჯანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
7	მაკა ჯავახია	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
8	ზურაბ ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
9	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზღვაო ნავიგაცია (ინგლისურენოვანი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1041, ტრანსპორტის მომსახურებები
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის გამზირი №38, მახინჯაური, ბათუმი, აჭარა, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შოთა კუნჭულიამ განაცხადა, რომ შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტი დაიგეგმა და განხორციელდა „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი შედგა 2021 წლის 15 მარტს დისტანციურად და 16 მარტს რეალური ვიზიტი მატერიალ-ტექნიკური ნაწილის შემოწმების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ: შოთა კუნჭულია (თავმჯდომარე), ნინო გორგოშაძე და ნიკა გიგაური.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მარტივად, ლაკონურად, განზოგადებულად და არ განმეორდეს ერთი და იგივე თემატიკა სხვადასხვა სწავლის შედეგში;
2. რეკომენდირებულია, სწავლის შედეგების რუკის ცვლილება და პროგრამისთვის სპეციფიური სწავლის შედეგების დადგენა, მათი შეფასების ზუსტი გეგმის შემუშავების მიზნით;
3. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, თავიდანვე სავალდებულოდ განისაზღვროს პროგრამის დაძლევისთვის საჭირო ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი ზღვარი - დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციიდან ჩანს, რომ მათ გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაცია;
4. რეკომენდირებულია ECDIS-ის შესწავლა გემი ელიტას ნაცვლად ხორციელდებოდეს სიმულატორულ წვრთნაში, ვინაიდან გემ ელიტაზე არ არის ECDIS–ის აღჭურვილობა - დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციიდან ირკვევა, რომ ECDIS–ის სწავლება გადატანილია ტრენაჟორულ ცენტრში;
5. რეკომენდირებულია, პროგრამას დაემატოს 5 კრედიტიანი საგანი „გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები-1972 (COLREG-72), რომელიც გაფანტული იყო რამდენიმე საგანში, დაწესებულებამ უკვე შეასრულა რეკომენდაცია და გახადა თითქმის 5 კრედიტიანი საგანი, რომელიც შეისწავლის ძალიან სერიოზულ წესებს და ჩამოყალიბდა ერთი ახალი საგანი;
6. რეკომენდირებულია, პროგრამას დაემატოს 5 კრედიტიანი საგანი „ვექტორული ელექტრონული რუკების ინფორმაციული სისტემა“ (ECDIS-ი), რაც ძალიან მნიშვნელოვანია საგზაო ტრანსპორტთან და დაწესებულებამ უკვე შექმნა 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი და მას ეწოდება „ვექტორული ელექტრონული რუკების ინფორმაციული სისტემა“;
7. რეკომენდირებულია, პროგრამას დაემატოს 5 კრედიტიანი საგანი გემის დატვირთვის დაგეგმარება (Stowage Plan), გემის მდგრადობის საკითხებთან ერთობლიობაში, რომელსაც ხდის ორ ნაწილიანს და ითხოვს STCW კონვენცია, რაზეც დაწესებულებამ უპასუხა, რომ რეკომენდაცია შესრულებულია, მათ ჩამოაყალიბეს სპეციალური საგანი;
14. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოიძიოს დამატებითი კომპანიები, რომლებიც გარანტირებულად უზრუნველყოფენ საზღვაო პრაქტიკის გავლას ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის - არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია;

15. უფრო დეტალურად და ნათლად გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი, მასში პროგრამის მატერიალური ბაზის განახლების და პრაქტიკის განხორციელების ხარჯების ასახვით - დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, რეკომენდაცია გათვალისწინებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში არ იღებს, ამიტომ დაწესებულება მსჯელობს დასკვნაში მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნათია მიქელთაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ, როგორც დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა დაწესებულება აბსოლუტურად ეთანხმება რეკომენდაციებსა და რჩევებს, ასევე, ასახეს ის რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც უკვე მოხდა დაწესებულების მიერ. დაწესებულების წარმომადგენლები შეეცადნენ შეესრულებინათ აბსოლუტურად ყველა რეკომენდაცია. მათ იკითხეს იყო თუ არა საჭირო რეკომენდაციების დეტალურად განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ არ იყო საჭირო თითოეული რეკომენდაციის განხილვა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმება გაცემულ რეკომენდაციებს, მხოლოდ მე-14 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ შეასრულა, მათ აქვთ ჩანაწერი არ შესრულების შესახებ, თუმცა ეცდებიან მის შესრულებას, რადგან თუ/როდესაც პროგრამა გაივლის აკრედიტაციას და დაკომპლექტდება სტუდენტებით და ამოქმედდება, პირველი 2 წლის მანძილზე მათ არ ექნებათ აუცილებლობა დამატებითი პრაქტიკის მოძიების საჭიროებისა, შესაბამისად, საუკეთესო შემთხვევაში აღნიშნული პრაქტიკა განხორციელდება 2024-2025 სასწავლო წელს. შესაბამისად, ამ ეტაპზე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო დაწესებულებას უზრუნველეყო გარკვეული პრაქტიკის ობიექტებით და სრულად დაეკმაყოფილებინათ აღნიშნული პუნქტი, თუმცა მიუხედავად ამისა, რა რესურსსაც ქართული პროგრამის სტუდენტები გამოიყენებენ, იგივე რესურსი იქნება გამოყენებული ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვისაც. დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებენ ყველა სხვა საკითხს.
მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რადგან მათ ყველა რჩევა/რეკომენდაცია და ზოგადად მათი სამუშაო მიმართული იყო პროგრამის ხარისხის ამაღლებისა და გაუმჯობესებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, მე-5, მე-6 და მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც მათ გასცეს რეკომენდაცია გარკვეული 5 კრედიტიანი საგნების დამატების შესახებ, საბჭოსთვის ცნობილია, რომ ეს არის განსაკუთრებული პროგრამა რომელიც უნდა შედგენილიყო საერთაშორისო ნავიგაციის სტანდარტებითა და დარგობრივი მახასიათებლით, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არის დაწესებული და საბჭოს წევრი დარწმუნებულია, რომ მისი გათვალისწინებით არის აგებული პროგრამა.
იგი დაინტერესდა და იკითხა: სამი საგანი, რომელიც რეკომენდაციაში არის ნახსენები და დაწესებულებამაც გაიზიარა სავალდებულო სახით უნდა ჩაემატოს პროგრამას თუ არჩევითი

სახით? თავისთავად, ამჟამად რაც გაზიარებულია გათვალისწინებული ვერ იქნება, მაგრამ ამ ეტაპზე რაც არის წარმოდგენილი აკმაყოფილებს თუ არა დარგობრივ მახასიათებელს და გადის თუ არა რეალურად სწავლის შედეგებზე იმ მოცემულობით რა მოცემულობითაც არსებობს.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განახადა, რომ პროგრამაში ისწავლება „მენეჯმენტის საფუძვლები“ და „ლიდერობა და გუნდის მართვა“, თუმცა სხვა პროგრამებში ლიდერობისა და გუნდის მართვის პრერეკვიზიტი არის ხოლმე მენეჯმენტის საფუძვლები, განსახილველ პროგრამაში კი პრერეკვიზიტის გარეშეა, არადა საკითხებიდან გამომდინარე საჭიროებს ცოდნას მენეჯმენტში. იგი დაინტერესდა თუ რითი ახსნის დაწესებულება აღნიშნულ მიდგომას და რითი ახსნის, რომ ლიდერობისა და გუნდის მართვის საგანს არ აქვს პრერეკვიზიტი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და ჰკითხა თუ რა არის მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ყველაზე ხანგრძლივი ვადა, რადგან ეს მნიშვნელოვანია საბჭოსთვის რათა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.
მან ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს მე-15 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ბიუჯეტის საკითხს, საბჭოს წევრს აბსოლუტურად გამართლებულად ეჩვენება, რადგან მან ორი პროგრამის შედარების შედეგად დაადგინა, რომ ბიუჯეტის ნაწილი ძალიან გავს ერთმანეთს. მისთვის ისიც გასაგებია, რომ დაწესებულებას შესაძლებელია სტანდარტიზებული ბიუჯეტი ჰქონდეს, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ბიუჯეტი უკეთ ასახავდეს რეალობას, რადგან მოცემული პროგრამა ძალიან სპეციფიურია, არ არის საუბარი თანამედროვე ლიტერატურის შეძენაზე, ხშირად ძვირადღირებულ ტექნიკასა და პრაქტიკის უზრუნველყოფაზეა საუბარი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია, ამიტომ სთხოვა ამ საკითხის უკეთ გაშლა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გაიოზ ფარცხალაძეს.
საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით მისი თქმით, აღნიშნულია, რომ სტუდენტმა ინგლისური უნდა იცოდეს, მისი მოსაზრებით, საუბარია ინგლისური ენის თამასის აწევაზე, მაგრამ რა დონეზეც არ უნდა შედიოდეს სტუდენტი, შემდეგ მიმდინარეობს სწავლება 6 სემესტრის განმავლობაში, ამასთანავე სტუდენტს პირველივე სემესტრიდან ეწყება ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა „საინჟინრო გრაფიკა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ და სხვა, რაც ინგლისურ ენაზე ისწავლება და დაინტერესდა თუ როგორ მოხერხდება ეს ყველაფერი, არის თუ არა ინგლისური ენის წარმოდგენილი დონე.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, ივანე აბაშიძეს.
სააგენტოს დირექტორის მოადგილემ, ივანე აბაშიძემ მადლობა გადაუხადა ცენტრს, რადგან მიეცათ საშუალება რომ მონაწილეობა მიეღოთ აკრედიტაციის საბჭოში და აკრედიტაციის საბჭოს თითოეულ წევრს, რომლებმაც გამოხატეს თანხმობა სხდომაზე სააგენტოს წარმომადგენლების დასწრების შესახებ.
მან ასევე მადლობა გადაუხადა დაწესებულებას დაინტერესებისთვის, რადგან უმაღლესი საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია და მისასალმებელი ფაქტია, აუმჯობესებს სტანდარტებს, რაც დასაქმების ბაზარზე არსებობს, თუმცა გასააზრებელია რამდენიმე პროცესი, რომლებიც საბჭომ უნდა იცოდეს, ერთი მხრივ, არის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და მეორე მხრივ სამუშაო ბაზარზე დაშვება/სერტიფიცირება მეზღვაურად ამ ხარისხიანი განათლების საფუძველზე ხორციელდება. სახელმწიფოს მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო დარგის დარეგულირება, ანუ რეგულირებადი პროფესია გახდა, არსებობს შესაბამისი საკვალიფიკაციო ჩარჩო დოკუმენტიც, რომელიც მორგებულია საერთაშორისო (STCW) კონვენციაზე.

მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, რომლებმაც წარმოადგინეს 15 რეკომენდაცია, არის საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შედარების შედეგად მიღებული შენიშვნები, ერთ-ერთმა ექსპერტმა თქვა კიდეც, რომ საკვალიფიკაციო ჩარჩოს უნდა ეფუძნებოდეს, იქ არის ერთ-ერთი შენიშვნა ელექტრონული რუკების სწავლების კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ბაკალავრიატის საფეხურზე, ECDIS უნდა ასწავლიდეს ბაკალავრიატის საფეხურზე მომავალ მეზღვაურს. განსახილველ პროგრამაში კი მითითებულია „დრაფტ ჩოი“, რომელიც კონკრეტულად იმ გემზე ხორციელდება, სადაც ეს დანადგარი არ დგას. დაწესებულებამ განაცხადა, რომ გადაიტანეს სიმულატორზე, რაც დასაშვებია საკვალიფიკაციო, ჩარჩო დოკუმენტით და ამასთან დაკავშირებით კომენტარი არ აქვთ, მაგრამ, გემი „ელიტა“ ძალიან ბევრ ადგილასაა გამოყენებული და ამ სასწავლო პროგრამის მიზნებისთვის არ არის შესაბამისი და ქართულ საკვალიფიკაციო ჩარჩო დოკუმენტით აკრედიტებულ პროგრამებზე მათ აქვთ ეს ნათქვამი და დაწესებულებამ ეს იცის, რომ გემი, რომელიც გამოიყენება მეზღვაურების წვრთნისთვის, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უნდა იყოს საკვალიფიკაციო ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი, ეს არის 500 საერთო ტონაზე მეტი გემი და მექანიკოსების შემთხვევაში ძრავი უნდა იყოს 750 კვტ-ზე მეტი. ეს კომპონენტი არის აუცილებელი და მისი მიღწევა დაწესებულებას სხვადასხვა გზებით შეუძლია, ე.წ. ხელშეკრულებების გაფორმების გზით გემთმფლობელებთან შესაბამისი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, ეს ძალიან მისაღები და ჩვეულებრივია. არ არის აუცილებელი დაწესებულებას საკუთრებაში გააჩნდეს გემი, აქედან გამომდინარე იგი დაინტერესდა თუ როგორ აპირებს დაწესებულება აღნიშნული კომპონენტის გამოსწორებას და რა არის ამის პასუხი - ის, რომ 4 წლის თავზე აუცილებელია გაიაროს პრაქტიკა მეზღვაურმა - ეს საბჭოს არ დააკმაყოფილებს, რადგან მათ ამ მომენტში აქვთ გადაწყვეტილება მისაღები და ახლა უნდა იყოს დაკმაყოფილებული მოთხოვნები.

ასევე, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით დაინტერესდა, რადგან ბევრი კომპონენტი მეორდება სხვადასხვა სწავლის შედეგებში და როგორ აპირებს დაწესებულება მის აღმოფხვრას/გამოსწორებას, რადგან ეს არის რეკომენდაცია და სავალდებულოა მისი შესრულება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნათია მიქელთაძემ სთხოვა დაეკონკრეტებინა თუ რა იგულისხმა, რათა დაწესებულებას გაეცა სწორი პასუხი.

სააგენტოს დირექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ მან იგულისხმა სწავლის შედეგები, რომლებიც მითითებულია საბაკალავრო პროგრამის დასაწყისში, რაც აღნიშნა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ დაწესებულებამ უკვე შეასრულა აღნიშნული რეკომენდაცია.

სააგენტოს დირექტორის მოადგილისთვის გასაგებია, რომ უკვე გასწორდა, თუმცა სურს მეტი ინფორმაცია მიიღოს დაწესებულებისგან. სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი გემის შეჯახების თავიდან აცილების კომპონენტი და ასევე მნიშვნელოვანია დატვირთვის დაგეგმარება და გემის მდგრადობა, დაინტერესდა თუ რას აპირებს ამ კონკრეტულ კომპონენტებში დაწესებულება რეკომენდაციების განსახორციელებლად, რადგან ეს მნიშვნელოვანი კომპონენტია მეზღვაურად ჩამოყალიბებისათვის. ერთ-ერთ რეკომენდაციაში გაწერილი იყო საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად განსაზღვრა და ზეპირი და წერითი კომუნიკაციის საგნის დამატება, იგი დაინტერესდა, თუ რას აპირებს დაწესებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან აქამდე ძალიან ზოგადი პასუხები გააჟღერეს. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილს სატვირთო და საბალასტო სიმულატორის განახლებას, რა ხდება ამასთან დაკავშირებით, რადგან დაწესებულებამ ძალიან კარგად იცის, რომ მეზღვაურთა წვრთნაშიც გამოიყენება და სიმულატორი არის სტანდარტიზებული ყველა სახის წვრთნაშიდა ერთიდაიგივე დონით უნდა იყოს წარმოდგენილი. ის ხელშეკრულებები, რომლებიც წარდგენილია პრაქტიკის ნაწილში და ადმინისტრაციულ პერსონალთან

დაკავშირებით საერთაშორისოზე ერთი ადამიანი იყო გამოყოფილი და რამდენად შეძლებს. უცხოელებთან დაკავშირებით მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ კანონში შედის ცვლილება, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქეებზე იქნება დადგენილი შეზღუდვა საქართველოში ასაღები სამუშაო დიპლომების შესახებ და მათი მოქალაქეობის სახელმწიფოში მოუწევთ სამუშაო დიპლომის აღება. მან განმარტა, რომ ეს უბრალოდ დაადასტურა და გააჟღერა, თუმცა დაწესებულებისათვის ეს ცნობილია, რაც არის სამუშაო ბაზარზე დაშვების სახელმწიფო საგამოცდო, საკვალიფიკაციო კომპონენტი.

საბჭოს თავმჯდომარე ადმინისტრაციულ პერსონალთან დაკავშირებით რეკომენდაციის შესახებ დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფისა და დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით. მან სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ როდესაც ისინი რეკომენდაციას უწევენ სასწავლო კურსების დამატებას რომელი სემესტრში მოიაზრება მათი დამატება. საბჭოს წევრის მოსაზრებით საკმაოდ მნიშვნელოვანი სასწავლო კურსების დამატებას ითხოვს ექსპერტთა ჯგუფი და დაინტერესდა თუ რამდენად შეესაბამება სიმძიმის ხარისხს შეფასება „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. იგივე საკითხთან დაკავშირებით ინსტიტუციას მიმართა კითხვით, როდესაც შეჯახების თავიდან აცილება ჩასვეს პროგრამაში რითი აპირებდნენ მის გადაფარვას, შესაძლებელია რამით იფარებოდა, რადგან ნავიგაცია ავტომატურად მოიცავს აღნიშნულ საკითხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შოთა კუნჭულიამ 3 საგნის ჩასმის მოთხოვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს არის მანდატურული მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს STCW კონვენციიდან. ეს არის კონვენცია, რომელშიც გაწერილია თითოეული თემა, რომელიც უნდა ისწავლებოდეს ნებისმიერ საზღვაო სასწავლებელში და სწორედ ამის მიხედვით აუცილებელია ისწავლებოდეს რეკომენდაციაში გაწერილი საგნები. დროსთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ საგნების ჩამოყალიბებისთვის კონვენცია და მოდელ კურსები პირდაპირ ჩამოწერილია თემატიკა, ამიტომ 1-2 თვე საკმარისი იქნება საგნების ჩამოსაყალიბებლად, რადგან დაწესებულებას ბევრი გამოცდილი კადრი ყავს.

სერიოზული წესების ცალკე გაწერასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა წესები ძალიან პატარა პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც, კონკრეტულ საგანზე, რომელსაც ერქვა მაგალითად „უსაფრთხოება“ არ ყოფნის ეს პერიოდი და სერიოზული წესებია, მაგ., პირველიდან 19-მდე 3 სექციაა, რომელიც პირდაპირი იურისპრუდენციაა, მაგალითად,რაღაც შეემთხვა გემს და იქ თავს იმართლებს აღნიშნული წესებით. შესაბამისად, ისინი უნდა ისწავლებოდეს თითოეულ სალექციო საათზე, ამიტომ მას სჭირდება ცალკე 5 კრედიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ საკითხები, რომელთა დამატებაც მოითხოვა ექსპერტთა ჯგუფმა, სთხოვა დაეკონკრეტებინათ არის თუ არა დაფიქსირებული დარგობრივ მახასიათებელში, რომლის შესაბამისადაც პროგრამა უნდა შედგენილიყო, თუ შემდეგ შევიდა ცვლილება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაფიქსირებულია დარგობრივ მახასიათებელშიც და მთავარ კონვენციაშიც.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განმარტა, რომ საბჭოს წევრი დაინტერესდა დარგობრივი მახასიათებლის გარეთ დასამატებელი საგნებია თუ შიგნით, რადგან აღნიშნული მოთხოვნილია სტანდარტით და აუცილებელია რომ იყოს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოთხოვნილია სტანდარტით და არის მანდატურული მოთხოვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, ივანე აბაშიძეს.

სააგენტოს დირექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლებელი არ არის ახალი, მას აქვს პროგრამები 10 წელზე მეტია, მათ შორის ქართულადაც. აღნიშნული რეკომენდაცია არ არის იმ მასშტაბის პრობლემა, რომელის გამოსწორებაც უნივერსიტეტს არსებული რესურსებით არ შეეძლება, რადგან მათ აქვთ ეს გამოცდილება,
საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, რომ ამ მომენტში მხოლოდ კითხვა-პასუხის რეჟიმი მიმდინარეობდა, მოსაზრებების დაფიქსირება კი შესაძლებელი იქნებოდა სათათბირო შესვენებაზე.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა თუ რომელ სემესტრში იყო რეკომენდირებული საგნების დამატება.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ზოგადად საზღვაო სასწავლებელში მნიშვნელოვანია, მეორე კურსი, როდესაც დამთავრებულია ფიზიკა, მნიშვნელოვან წლად, სადაც ისწავლება ძირითადი, საზღვაო საგნები, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწორედ მეორე კურსის მეორე სემესტრიდან უნდა დაიწყოს COLREG, შემდეგ ECDIS-ი, რადგან იგი ნავიგაციასთან ერთად უნდა მიდიოდეს, მთელი ნავიგაცია მასშია ჩასმული და შემდეგ Stowage Plan, დატვირთვის დაგეგმარება, რომელიც იქნება მდგრადობა 2-ის სახით, როგორც დაწესებულებისთვის იქნა შეთავაზებული და შესაძლებელია გადავიდეს მესამე კურსის საგნებში.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა კაპიტანს, ნუგზარ ბოლქვაძეს.
კაპიტანი, ნუგზარ ბოლქვაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს მადლობა გადაუხადა, რადგან მათ მიეცათ პროცესში მონაწილეობის საშუალება. იგი დაეთანხმა სააგენტოს დირექტორის მოადგილისა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს/რეკომენდაციებს. იგი გაეცნო დასკვნას და როგორც მოქმედმა კაპიტანმა განაცხადა, რომ საუბარს დაიწყებდა იმ თემით, რომელიც ჯერ არ გაჟღერებულა MLC კონვეცია, მეზღვაურთა შრომის კოდექსის შესახებ, მეზღვაურთა უფლებების დაცვის შესახებ, ექსპერტთა მხრიდან გაცემულია რეკომენდაცია მხოლოდ „საზღვაო ნავიგაციის“ პროგრამის, მაგრამ იგივე MLC კონვეციის სწავლის პროგრამაში შეტანის შესახებ არ არის დაფიქსირებული გემის მექანიკის მიმართ, მისი ვარაუდით ექსპერტებს გამორჩათ, რადგან მნიშვნელოვანი თემაა, რადგან მათ ყავთ ქართველი მეზღვაურები, რომლებიც ფატალურად დაიღუპნენ აღნიშნული წესების უცოდინარობის/ცუდი ცოდნის გამო, ასევე ყავთ მეზღვაურები, რომლებმაც დაკარგეს ხელფასი გემთმფლობელი კომპანიების დაუდევრობის/გაუფრთხილებლობის გამო და აღნიშნული ახლაც გრძელდება, შესაბამისი კონვენციის ცოდნა, მიმდინარე წელს ძალაში უნდა შევიდეს და პარლამენტის მიერ რატიფიცირებული გახდეს აღნიშნული კონვენცია, რადგან მისი ცოდნა სიცოცხლესავით მნიშვნელოვანია ქართველი მეზღვაურებისათვის, ამიტომ საზღვაო სფეროში ჯერ-ჯერობით წარმოადგენს აქილევსის ქუსლს და უნდა იყოს ყურადღება გამახვილებული უპირველესად ხედვა, დაწესებულების მხრიდან საკითხთან მიმართებით უნდა იყოს უპირობოდ მნიშვნელოვანი.
მისი მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფს გამორჩა ამ ნაწილში, „გემის მექანიკის“ პროგრამის სტუდენტებისთვის და სწორი დასკვნა იყო. იგი დაინტერესდა თუ რატომ არ იქნა შეტანილი MLC კონვეციის თემატიკა და რამ გამოიწვია მისი პროგრამაში არ გათვალისწინება. COLREG-სა და ECDIS-თან დაკავშირებით დაეთანხმა, რომ ECDIS წარმოადგენს რევოლუციურ მოწყობილობას ნავიგაციაში, რაც არის ელექტრონული რუკები, რამაც შეცვალა დღევანდელი ნავიგატორის მუშაობა გემზე, ქაღალდის რუკები რჩება ხმარებაში, თუმცა ECDIS არის რევოლუციური მოწყობილობა, გემზე ინტეგრირებულია სხვადასხვა მოწყობილობები, ამიტომ ECDIS-ის მკაფიო/ზუსტი ცოდნა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ნავიგატორისათვის, პროგრამიდან ჩანს, რომ აღნიშნული საგანი დაყოფილი იყო სამ ნაწილად, ნავიგაციაში, მეოთხე კურსზე 12 საათის სახით, სიმულატორი - 16 საათი, გემ ელიტაზე კი 37 საათი. მან განაცხადა, რომ გემი „ელიტას’ შესახებ, რომელზეც არ არის დამონტაჟებული აღნიშნული მოწყობილობა, დაინტერესდა თუ როგორ იყო პროგრამა მომზადებული და როგორ

იყო გათვალისწინებული აღნიშნული საგნის სწავლება გემ ელიტაზე. ასევე დაინტერესდა თუ როგორ შეიძლება 16 საათი სწავლებით საგნის სწავლა სიმულატორზე, მითუმეტეს თუ ამ საგნებს, ნავიგაციის მეოთხე კურსზე საკონტაქტო და დამოუკიდებელ სამუშაო საათებს გაითვალისწინებენ.
მან განაცხადა, რომ გემების შეჯახების თავიდან აცილების წესები, რასაც ნავიგატორები „პურს“ უწოდებენ, რადგან მათი ცუდად სწავლა დაკავშირებულია გემების შეჯახებასთან და COLREG-ის თემატიკა „საზღვაო ნავიგაციის“ პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და სწორი რეკომენდაცია იყო, რომ აღნიშნული საგანი უნდა იყოს ცალკე გამოყოფილი და ბევრი საათი უნდა ჰქონდეს COLREG-ის წესების სწავლისათვის. შესაბამისად XDS-ის საგანი, რომელიც 65 საათის სახით იყო წარმოდგენილი და საათები მოსამატებელი, რაც იკვეთება ექსპერტების მიერ გაწერილ რეკომენდაციებში. მან განაცხადა, რომ „გემის მექანიკის“ პროგრამის საგნების სწავლებაზე, 8 საგანზე ასწავლის უცხოელი, მოწვეული მასწავლებელი, რომელიც არის ხოფის პორტის კაპიტანი, რომელიც აპირებს 8 საგნის წაკითხვას, კაპიტანი დაინტერესდა დაწესებულების პოზიციით, თუ რამდენად იქნება პროგრამა დაცული, რომ არ მოხდეს აღნიშნული საგნების ჩავარდნა და როგორ მოახერხებს ზემოაღნიშნული ადამიანი ლექციების წაკითხვას მუდმივად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.
ბიუჯეტთან დაკავშირებით დაეთანხმა საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის მიერ გამოთქმულ შენიშვნას, რომ ბიუჯეტის ნაწილში საჭიროა უფრო მეტი დეტალიზაცია, რადგან გემთან, მის მოვლა/შენახვასთან დაკავშირებით ხარჯები, პრაქტიკანტის/კადეტების დასაქმების ხარჯები უნდა იყოს მკაფიოდ გაწერილი, მატერიალურ ბაზასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო ნაწილში აღნიშნულია, რომ დაწესებულებას არ გააჩნია სამანქანო განყოფილება, სადაც საჭიროა შიგაწვის ძრავისა და სათადარიგო ნაწილების დამონტაჟება. ასევე, დაინტერესდა თუ რას გეგმავს დაწესებულება აღნიშნულ საკითხთან და კავშირებით და დასძინა, რომ ბიუჯეტშიც უნდა აისახოს ყველაფერი, პრაქტიკული ნაწილის, სამანქანო განყოფილების გამოყენების შიგაწვის ძრავებზე არის უმნიშვნელოვანესი. მან ექსპერტთა ჯგუფს მიმართა კითხვით თუ როგორ იქნა განსაზღვრული/დადგენილი რამდენად შეძლებს დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლები ინგლისურ ენაზე პროგრამის წარმართვას, თუ არის ამის გამოცდილება.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, შოთა კუნჭულიას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო პროგრამაზე ყველა რეკომენდაცია გაწერილია სწორედ იმ კონვენციური მოთხოვნების გათვალისწინებით, სამი საგნის დამატება მოხდა, რადგან მათი ცალკეული კომპონენტები ისწავლებოდა სხვადასხვა სასწავლო კურსებში და მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე მოხდა მათი რეკომენდირება ცალკე საგნად წარდგენაზე, რაც შეეხება შრომის კანონმდებლობას მისი მოსაზრებით კაპიტანი, ნუგზარ ბოლქვაძე „გემის მექანიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე საუბრობდა, რადგან „საზღვაო ნავიგაციის“ პროგრამას საგნებში აქვს ჩასმული გარკვეულ საკითხებთან ერთად, როგორებიცაა საერთო კონვენციური მომზადება და გარკვეულწილად მოხსენიებულია ზემოაღნიშნული კონვენცია.
საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს შეახსენა რეკომენდაციების შესრულების ვადასთან დაკავშირებით დასმული კითხვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან თითოეული სასაწავლო კურსის საკითხი უკვე მითითებულია STCW კონვენციაში და ასევე ცალკე შესრულებულია მოდელ კურსები საგნის მიხედვით, უკვე შესრულებულია, გააჩნია ინგლისურენოვანი მასალა, დაწესებულებას შეუძლია 1.5-2 თვეში თავისუფლად შეასრულონ აღნიშნული რეკომენდაციები.
ექსპერტი, ნინო გორგოშაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან ECDIS-თან დაკავშირებით განაცხადა, რომ იმ რეკომენდაციას, რომლითაც ექსპერტთა ჯგუფი ითხოვს სამი ძირითადი საგნის დამატებას, მათი შეფასებით მთავარი პრობლემა მოდის სწავლის შედეგების გაურკვევლად ჩამოყალიბებიდან, დაწესებულებას დარგობრივ მახასიათებელთან შედარებით წარდგენილი აქვს ის აუცილებელი სწავლის შედეგები რასაც ითვალისწინებს დარგობრივი

მახასიათებელი, თუმცა შემდეგ ყოველი სწავლის შედეგზე განსაზღვრულია საკითხები ცალკეულ პუნქტებად, რომლების განმეორებაც ხდება სხვადასხვა სწავლის შედეგში, რაც იწვევს ზოგიერთი საგნის გახლეჩას, მაგ., ECDIS-ისათვის განაწილებული იყო რამდენიმე სასწავლო კურსში: „სიმულატორულ წვრთნაში“ დათმობილი იყო რამდენიმე საათი და სხვა, მისი ერთიანი აღქმა ვერ ხდებოდა, ამასთან დარგობრივ მახასიათებელში თუ ECDIS-ის დათმობილი ჰქონდა 65 საათი, ექსპერტთა ჯგუფმა წარდგენილ პროგრამაში ვერ დაინახა, ამიტომ რეკომენდაცია არის სწორედ იმიტომ, რომ უმჯობესია იყოს ერთიანი კურსი, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს უკეთ აღიქვას აღნიშნული საგანი.

COLREG-თან დაკავშირებით მან განმარტა, რომ შესაძლებელია სხვადასხვა საგნებში იყოს გაფანტული რამდენიმე საათით, მაგრამ არ ჩანს ერთიანი, ამიტომ უმჯობესი იქნება აღნიშნული მნიშვნელოვანი საგანი იყოს ერთიანად და სტუდენტისთვის მარტივად აღსაქმელი იქნება. დაწესებულება თუ უკეთ გაიაზრებს სწავლის შედეგებს, უფრო ლაკონურად ჩამოაყალიბებს თუ რა სწავლის შედეგზე უნდა გავიდეს აღნიშნული კურსი და რა საგნებით/სასწავლო კურსით მიაღწევს სწავლის შედეგებს, ყველაზე მთავარი პრობლემა პროგრამის განხორციელებისას არის სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა, რომელიც აუცილებელია ხორციელდებოდეს რეალურ გარემოში/გემზე და იგი უნდა აკმაყოფილებდეს დარგობრივი მახასიათებლისა და კონვენციის მოთხოვნებს, პრაქტიკიდან გამომდინარე ექსპერტისთვის ცნობილია, რომ აღნიშნულ პრობლემებს ეჯახებიან, ქართული პროგრამის განხორცილებისასაც, რადგან არ ყავთ გემები და უწევთ თანამშრომლობა უცხოურ კომპანიებთან სტუდენტების პრაქტიკაზე გაგზავნისათვის, ყველაზე პრობლემატური საკითხი რეკომენდაციების შესრულებისას არის პრაქტიკა, როგორც სააგენტოს დირექტორის მოადგილემ აღნიშნა დაწესებულება იძლევა გარანტიას/ხსნის, რომ პრაქტიკა იწყება დაახლოებით მე-6 სემესტრიდან და ამ პერიოდში თუ მოახერხებს დამატებითი ხელშეკრულებების მოძიებას, ეს არის ერთადერთი გამოსავალი, რადგან გემის შეძენა საკმაოდ რთული და დიდი ხარჯებია, სწორედ ამ რეკომენდაციის გამოსწორების ერთადერთი გზა ამ გზით წასვლა იქნება დაწესებულებისთვის, მაგრამ აღნიშნულ საკითხს 2 თვეში ვერ გამოასწორებს. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება სიმულატორულ წვრთნებს, რომელიც მოითხოვს სიმულატორების ქონას, დაწესებულებას გააჩნია საწვრთნელი ცენტრი, მას აქვს სიმულატორები, თუმცა აღსანიშნავია, ის რომ ვინაიდან იყენებს ქართული პროგრამებისთვისაც აუცილებელია მათი განახლება, წარმადობის გაზრდა, როგორც რეკომენდაციაში იქნა აღნიშნული სატვირთო და საბალასტო სიმულატორები, რომლებიც საკმაოდ მოძველებული დახვდათ შემოწმების დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ სწავლის შედეგები რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამაზე არის ყველაზე მარტივი, რადგან ყველაფერი მითითებულია და დაინტერესდა თუ რა შემთხვევასთან აქვთ საქმე, რატომღაც ეს შედეგები გადაანაწილეს რამდენიმე კურსზე, თუ რაღაც ხედვა ჰქონდათ ასეთი და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ეს იყო არასწორი, თუ დააკლეს რაღაც, თუმცა რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამაში როგორ შეიძლება დააკლონ, რადგან რეგულაცია ყველასთვის ცხადი და ნათელია, ექსპერტს სთხოვა განემარტა თუ რა მოხდა.

ექსპერტმა, ნინო გორგოშაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით დარგობრივ მახასიათებელში ზოგადად არის გაწერილი, თუ რომელი კონკრეტული კომპეტენცია უნდა ჰქონდეს ამ დარგობრივი მახასიათებლით, ასევე ეს არის საერთაშორისო სპეციალობა და მასზე არსებობს საერთაშორისო კონვენცია, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ სპეციალობას კონვენციიდანაც მოხდა შეჯერება და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოცემული მოდელ კურსებიდანაც და რაღაც კურსები, რომლებიც აღწერეს სწავლის ერთ შედეგში შეხვდათ სწავლის მეორე შედეგშიც, შესაძლებელია გააზრებასთან ჰქონდეთ პრობლემა, ამიტომ უნდა გაიაზრონ და სწორად ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგი, რის მიხედვითაც უნდა დაგეგმონ რაც გაიყვანს კონკრეტულ სწავლის შედეგამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა იყო თუ არა სწავლის შედეგები შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან.
ექსპერტმა განმარტა, რომ დარგობრივი მახასიათებლიდან გადატანილია ის აუცილებელი სწავლის შედეგები.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტი გულისხმობდა სტილისტიკას თუ შინაარსს.
ექსპერტმა განაცხადა, რომ გულისხმობდა ორივე მათგანს, რადგან შინაარსშიც არის გარკვეული ხარვეზები. ადმინისტრაციული პერსონალის გაზრდასთან დაკავშირებულ რეკომენდაციის შესახებ მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფმა იგულისხმა, რომ დაწესებულებას ყავს საერთაშორისო ურთიერთობებში ერთი სპეციალისტი და ასევე სტუდენტთა რეგისტრაციისა და ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებითაც ერთი სპეციალისტი, შესაბამისად თუ დაწესებულება ფიქრობს დაიმატოს უცხოენოვანი სტუდენტები საერთაშორისო მიმართულებით მეტი თანამშრომელი დასჭირდება, რადგან აღნიშნული სპეციალისტი უკვე დაკავებულია კონფერენციების, სემინარების, ხელშეკრულების საკითხებთან დაკავშირებით, სტუდენტების ჩამოყვანისა და მათი ვიზების საკითხთან დაკავშირებით საჭირო იქნება დამატებითი პერსონალის არსებობა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ როდესაც დარგობრივი მახასიათებელი მუშავდებოდა გარდა კონვენციებისა სამოდელო კურსებიდანაც იყო სწავლის შედეგები აღებული და დაინტერესდა გულისხმობდა თუ არა ექსპერტი ამ საკითხს, რამდენად ვარაუდოა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ერთი მხრივ დარგობრივი მახასიათებლიდან გადმოვიდა სწავლის შედეგები და მეორე მხრივ ისევ სამოდელო კურსებს მიუბრუნდა დაწესებულება და ვეღარ არის შეწყობილი.
ექსპერტი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ სავარაუდოდ შესაძლებელია ასე მომხდარიყო, რადგან მოდელ კურსი გამოცემულია ცალკეული დონეების მიხედვით, ოფიცერი იყოფა ექსპლუატაციის დონისთვის და მართვის დონისთვის, შესაბამისად მოდელ კურსები არის ექსპლუატაციის დონისთვისა და მართვის დონისთვის ცალ-ცალკე, სავარაუდოდ ორივე მოდელ კურსიდან მოხდა ამის აღება და შესაძლებელია რამე მეორდებოდა და მოხდა მათი გამეორება სწავლის შედეგებში უკვე კურიკულუმის ჩამოყალიბების დროს. MLC-თან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ არის რეკომენდაცია: „მიზანშეწონილია საზღვაო სამართლის კურსში შევიდეს მეზღვაურის შრომის უფლებების კონვენციასთან (MLC 2006) დაკავშირებული საკითხები“.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.
კანცლერი, ლალი ხვედელიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ სურდა პუნქტობრივად განეხილა ყველა საკითხი. მისი თქმით სააგენტოს წარმომადგენლებმა გაამუქეს სურათი, რომ თითქოს ის არსებული საგნები, რომლებზეც გაცემული იყო რეკომენდაცია დაწესებულებას არ გააჩნდა პროგრამას და დაამატეს რეკომენდაციების შემდეგ. ქართული პროგრამის, იგივე პროგრამაა ესეც, ოღონდ ინგლისურენოვანი, რომელზეც 2019 წელს გაიარეს აკრედიტაცია, ცენტრის მიერ უცხოელ ექსპერტებში სპეციალურად იყო მოწვეული შორეული ნაოსნობის კაპიტანი, პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია მოწონებულ იქნა, დაწესებულებამ ინგლისურენოვანი პროგრამაზე მუშაობისას იხელმძღვანელა სწორედ უკვე აკრედიტებული, ქართულენოვანი პროგრამით.
მან განცხადა, რომ განმარტავდა ყველაფერს, რათა საბჭოს ძირითად შემადგენლობას გაეგო დაწესებულებაში არსებული პრობლემების რეალური სიმძიმე. მათ გარდა ამისა იხელმძღვანელეს სპეციალური დარგობრივი მახასიათებლითა და STCW კონვენციით, რასაც უნდა მისდევდნენ, არცერთი მოთხოვნა, რომელსაც კონვენციები ითხოვს პროგრამისთვის არ დაუკლიათ/გამოუტოვებიათ, შემდეგი საკითხია იქნება თუ არა საკმარისი საათები, ზუსტად ამას ემსახურებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, მათ მისცეს რეკომენდაცია, რომელიც შესრულებულ იქნა.
მან განაცხადა, რომ პროგრამაზე მუშაობისას კარგია სხვისი გამოცდილების გაზიარება, მათ ორივე („საზღვაო ნავიგაციისა“ და „გემის მექანიკის“) პროგრამა გააგზავნეს მათ პარტნიორებს

კონსტანცის საზღვაო უნივერსიტეტს, შეცინის საზღვაო უნივერსიტეტს, მონტენეგროს და ვარნის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს, რომელიც საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ, ოთხივე უნივერსიტეტიდან მოწერილ პასუხში, აღნიშნული იყო, რომ ძირითადად ყველა საკითხი ამოწურულია და შეესაბამება STCW კონვენციის მოთხოვნებს, დაწესებულებას შეუძლია იმ დროით დათარიღებული წერილების გადაგზავნა საბჭოსთვის. გარდა ამისა, 20 წელია დაწესებულება ამ სფეროში მუშაობს, რექტორი შორეული ნაოსნობის კაპიტანია და დაწესებულების წარმომადგენლებს რომ სურდეთ რაიმეს გამოტოვება და არ გათვალისწინება ამის უფლებასაც არ მისცემდნენ. გამოცდილება საკმაო რაოდენობით აქვთ, აღჭურვილობა იმისათვის, რომ გაზარდონ ღირსეული და კონკურენტუნარიანი სტუდენტები აქამდე ჰქონდათ და რატომ მაინცდამაინც ინგლისურენოვან პროგრამაზე შეირცხვენენ თავს, მისთვის გაუგებარია.

COLREG-ის შესახებ მან განმარტა, რომ დაწესებულება ასწავლიდა აღნიშნულ საგანს „გემის მდგრადობა, მართვა და მანევრირება“, უსაფრთხოებაში COLREG-ის წესებია, 38 წესია გაწერილი, ყველა შეასწავლეს სტუდენტებს, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის რჩევა ნამდვილად ღირებული იყო დაწესებულებისთვის, რადგან ურჩიათ რომ თითო შეხვედრაზე, დაწესებულება განიხილავს 4 წესს, არის წესები იოლი და შეიძლება განიხილონ ერთ საათიან ლექციაზე, არის კიდევ პრაქტიკული მეცადინეობები, ამ წესების პრაქტიკულად გავლისათვის, დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, რაც არ ნიშნავს, რომ მანამდე არ ჰქონდათ, პროგრამის ხელმძღვანელი შორეული ნაოსნობის კაპიტანია და თვითონ კითხულობს აღნიშნულ საგანს, მაგრამ ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფმა ურჩია დაწესებულებას გაზარდონ კრედიტების რაოდენობა 5 კრედიტიანი საგანი გაზარდეს 8 კრედიტიან საგნად, არ არის რთული, დაწესებულებას აქვს ამის განხორციელების უნარი და 3 დღეში გააკეთეს, მოთხოვნებსაც შეესაბამება და მეტიც არის.

ECDIS-თან დაკავშირებით კანცლერმა განაცხადა, რომ ერთერთმა პირველებმა დაამონტაჟეს სასწავლებელში და უკვე მესამეჯერ გაიარა რებრენდინგი, ყოველ 10 წელში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია გამოსცემს დირექტივებს, რომ შეიცვალოს, ჯერ-ჯერობით მათ არცერთ სიმულატორზე არ არის გამოსული, რომ უკვე მოძველებული ვარიანტია და შეისყიდონ ახალი, ყველა მოქმედია და ამიტომ სიმულატორებით არაჩვეულებრივად არიან აღჭურვილნი და შესაცვლელი არაფერი არ არის და რადგან დასკვნაშიც ეწერა დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაშიც უპასუხა, რომ არც არასდროს ატარებდნენ ECDIS-ის მეცადინეობას გემ „ელიტაზე“, რომელიც მათთვის გაცნობითი კურსი, რაც ნიშნავს, რომ ეროვნული გამოცდებით მიდის ახალგაზრდა და მან არ იცის რა არის გემი/ზღვა, პროგრამის მიხედვით დაწესებულებას ევალება დაიწყოს ზოგადი საგნები: ზოგადი ინგლისური, ინტერნეტ ტექნოლოგიები, მათემატიკა, ფიზიკა, სადაც საზღვაო საგნებს პირველ წელს ფაქტობრივად არ გადიან, მეორე კურსიდან უკვე იწყებენ სპეციალობის საგნებით, ბევრი სავალდებულო საგანია პირველ კურსზე, მაგრამ არა დარგობრივი, როდესაც გადის სტუდენტი დაწესებულებას სურს გაუმარტივოს გაგება დაიწყეს ნავიგაცია - რა არის გემი, დაწყეს გემის კონსტრუქცია - რით და როგორ კეთდება, სად არის ცხვირი, სად არის კიჩო და ამიტომ გადაწყვიტეს, რომ გაცნობით კურსის სახთ ჰქონოდათ, როდესაც უცხოელ ექსპერტებს აუხსნეს და იყვნენ შემოწმებაზე მათ მოიწონეს აღნიშნული პრაქტიკა, არ იცის სტუდენტმა რა არის ზღვა და თუ დანაშაულია, რომ გემ „ელიტაზე“ 5 კრედიტიანი გაცნობითი კურსი აქვთ, ეს არ არის პრაქტიკა, ეს არის გაცნობითი კურსი, გემი გაიყვანეს ზღვაში და აკვირდებიან სტუდენტებს ყველაზე ელემენტარული ადამიანია და შესაძლებელია ტალღაც ვერ აიტანოს, ეს არის გაცნობითი კურსი, ყველაფერი სხვა აქვთ სასწავლო კურსებში „ნავიგაცია 1“, „ნავიგაცია 2“, „ნავიგაცია 3“, სადაც შემდეგ ყველა საგნები არის ჩაშლილი. დაწესებულებას შეეძლო ECDIS არ გამოეტანა ცალკე კურსად, მაგრამ გაითვალისწინეს ექსპერტთა ჯგუფის რჩევები, გაზარდეს და აბსოლუტურად ახალი 5 კრედიტიანი საგანი შექმნეს, იხელმძღვანელეს იმ მოთხოვნებით, რაც აქვს STCW-ს, შესაბამისად სახელმძღვანელოები შეძენილია ინგლისურ ენაზე, აღნიშნულ სამ საგანთან დაკავშირებით, ეს იყო ECDIS, COLREG და Stowage Plan, ეს იყო ზედაპირულად

გაწერილი და რეკომენდაციის მიღებისთანავე ამოიღეს ლიტერატურა, გამოიწერეს სასწრაფოდ წიგნი, შესაძლებელია დარგის ექსპერტებმა შეამოწმონ როგორ გამოასწორეს და როგორ არის შექმნილი ყველაფერი, მან აღნიშნულ საგნებთან დაკავშირებით გაიხსენა ექსპერტების კითხვა, თუ რომელ სემესტრში უნდა ყოფილიყო, ძალიან რთული საკითხია, არც მოდელ კურსებში, არც დარგობრივ მახასიათებელში და არც STCW-ის მოთხოვნების მიხედვით არსად წერია, თუ რომელ სემესტრში რა საგანი ასწავლონ, უბრალოდ მოდელ კურსების მიხედვით უყურებენ თუ რა უნდა იყოს წინამორბედი კონკრეტული საგნის შესწავლისათვის, სანამ დაიწყებენ „ნავიგაცია 1-ს“ სჭირდებათ „პრაქტიკა 1“ გემზე, გემ „ელიტაზე“, რომელიც ყველა იმ ელემენტარულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, რა არის აისი, ნავიგაციური სისტემების გარდა ECDIS-ისა ეს გემი საკმაოდ კარგად აღჭურვილია და სტუდენტებს აჩვენებენ რეალურად, რომ შემდგომ უკვე მე-7-მე-8 სემესტრში, როდესაც სტუდენტები მიდიან საოკეანო საცურაო პრაქტიკაზე ეს არის მთელი სემესტრი ან მე-7-ში წავა, ან მე-8-ში, კითხვაზე რატომ ამ სემესტრებში მან უპასუხა, რომ გემები არის კერძო საკუთრება, მას ყავს უცხოელი მფლობელები, დაწესებულებამ ყველა რეალური შენიშვნა გადაამოწმა და გადააკეთა ხელშეკრულებებში დამსაქმებლებთან დაკავშირებით, მოთხოვნა იყო თუ გაიწერებოდა თუ დაზუსტდებოდა წელიწადში რამდენ სტუდენტს დაასაქმებდა კონკრეტული გემთმფლობელი კომპანია, დაწესებულებამ მიმართა კომპანიებს და 2 მათგანიდან უკვე მიიღეს პასუხი, რომ ყველაზე ბევრი 8 სტუდენტის დასაქმებას შეძლებდნენ წელიწადში, მისი პრაქტიკიდან გამომდინარე არ ეყოლება დიდი ჯგუფები დამამთავრებელ კურსებზე, ვინც პრაქტიკაზე წავა იქნება 30 სტუდენტი, დაწესებულებას გაფორმებული აქვს 12 ხელშეკრულება სხვადასხვა გემთმფლობელ კომპანიასთან და ყოველწლიურად ეძებენ ახლებს, რათა არ იყოს შეჩერება, ახლებს ეძებენ არა იმიტომ, რომ 12 კომპანია არ დააკმაყოფილებს 450 სტუდენტს, დამამთავრებელ კურსზე არიან 80-100 სტუდენტი, სააგენტოს წარმომადგენლებმა იციან, რომ წელს ამთავრებს 100 სტუდენტი და 26 სტუდენტი, რომელიც არ ყოფილა საცურაო/საოკეანო პრაქტიკაზე ისინი როცა გაივლიან პრაქტიკას ოქტომბერ-ნოემბრის ბოლოს გავლენ პრაქტიკის ანგარიშს ჩაბარებასა და დაცვაზე და ამის შემდეგ მიენიჭებათ კვალიფიკაცია, შესაბამისად აქ სირთულეებს ვერ ხედავენ, პრობლემა არის, ქვეყანას არ გააჩნია არც ერთი გემი, რომელიც იქნება სახელმწიფო საკუთრებაში, ან რომ ჰქონდეს ერთი გემი პირველ რიგში სააგენტო ან ეკონომიკის სამინისტრო გაუშვებს თუ არა განსახილველი პროგრამის სტუდენტებს, მას არ აქვს ამის იმედი, სწორედ ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლები ეძებენ კერძო გემებს/გემთმფლობელებს, რათა თავისი სტუდენტები დაასაქმონ 100 დამამთავრებელი სტუდენტიდან 26, რომელიც ახლა დაიწყებს, რომლებთანაც სააგენტომ დიდი თანადგომა გამოუცხადა დაწესებულებას, რადგან დაწესებულებას გაუჭირდა და სტუდენტები უნდა ჩაეყენებინა რიგში, რასაც ვერ დაუშვებდა, რადგან მთელი სემესტრით გადაწეულიყო სწავლა, მან მადლობა გადაუხადა სააგენტოს გაწეული დახმარებისათვის. როდესაც საუბარი იყო, რომ აღმოფხვრები სამ საგანთან დაკავშირებით (ECDIS, COLREG და Stowage Plan), დაწესებულებას გამოსწორებული აქვს, ყავთ საუკეთესო ლექტორები და მისთვის გაუგებარია უკვე რა ვადებზეა საუბარი უკვე შესრულებულ რეკომენდაციასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში არ იღებს.

კანცლერმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა დრო და გაუგებარია თუ რატომ უნდა გაჩერებულიყვნენ, გარდა ამისა მათთვის ცნობილია, რომ ამ ეტაპზე საბჭოს ვერ გაითვალისწინებენ.

საბჭოს თავმჯდომარე, სიტყვა გადასცა ექსპერტს, ნინო გორგოშაძეს.

ექსპერტმა, ნინო გორგოშაძემ გემ „ელიტასთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს პრობლემა გაცნობით პრაქტიკასთან დაკავშირებით.

კანცლერმა შეახსენა მათ მიერ დაშვებული შეცდომა, სადაც ეწერა, რომ ზემოაღნიშნული გემი არ შეესაბამებოდა პროგრამას.

ექსპერტმა განმარტა, რომ ეს დაწერეს, რადგან ყველა სასწავლო კურსი, რომელიც წარდგენილია, მაგ., ECDIS-ის შესასწავლად წერია, რომ „სიმულატორულ წვრთნაში“ დათმობილია 16 საათი, „ნავიგაცია 4-ში“ - 12 საათი და „საწარმოო პრაქტიკა“ - სადაც გაწერილია, რომ გემ „ელიტაზე“ განკუთვნილია 27 საათი ECDIS-ის შესასწავლად, ყველა წარმოდგენილ კურსში პრაქტიკის ადგილად მითითებულია გემი „ელიტა“ და დათვლილია საათები, რომლებიც მეტია 5 კრედიტზე, ასევე ცალკე აქვთ სასწავლო კურსი „გაცნობითი პრაქტიკა“, რომელზეც მთლიანად გემი „ელიტაა“ მითითებული, ყველა დანარჩენ სასწავლო კურსში, მათ შორის „ნავიგაცია 4“, „ნავიგაცია 3“, „ნავიგაცია 2“, სადაც არის პრაქტიკული წვრთნები, ყველგან მითითებულია გემი „ელიტა“, სწორედ ამან გამოიწვია რეკომენდაცია, რომ პრაქტიკული წვრთნები, გარდა „გაცნობითი პრაქტიკისა“ არ უნდა განხორციელდეს.
კანცლერმა დაძინა, რომ არც ახორციელებენ, უბრალოდ ECDIS-ის სწავლება მიდის სიმულატორებზე.
ექსპერტმა სთხოვა გადაეხედათ ყველა მათთვის მიწოდებულ სასწავლო კურსზე და ენახათ სად არის მითითებული პრაქტიკული წვრთნები.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გემ „ელიტასთან“ დაკავშირებით გასაგები იყო და სთხოვა დაწესებულებას გაეგრძელებინა კითხვებზე პასუხი.
კანცლერმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების შესრულებისთვის დაწესებულებას არ სჭირდებოდა დრო, რადგან უკვე შესრულებული იყო.
აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ შემთხვევაში საუბარია „გემის მექანიკის“ პროგრამის საკითხზე და როდესაც გადავიდოდნენ, მაშინ ისაუბრებდნენ.
სწავლის შედეგებთან მიმართებით აღნიშნა, რომ ისნი ამოღებულია STCW-ისა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, კომპეტენციები ყველა ამოღებული და ყველა გათვალისწინებულია.
სატვირთო და საბალასტო ოპერაციების სიმულატორთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მოძველებულია, მაგრამ შეესაბამება მოთხოვნებს, მიუხედავად ამისა, დაწესებულებაზე ხარაჩოებია აშენებული, ზრდიან ტრენინგ ცენტრს, გამოწერილია და მიდიან მოლაპარაკების სტადიაში, ყველა სიმულატორი, რაც გააჩნიათ ყველა მოთხოვნადი და რეალურად, მაგრამ დამატება უნდათ, რადგან ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები დაემატებიან/ ასევე, გასათვალისწინებელია, რომ დაწესებულებას კვოტით განსაზღვრული აქვს 800 ადგილი, ხოლო დაკავებულია 450 დანარჩენი ადგილი თავისუფალია, ანუ სტუდენტები რომ გაზარდონ აკადემიური პერსონალი, სიმულატორები და სხვა, ყველაფერი დააკმაყოფილებს უცხოელ სტუდენტებსაც, ამასთანავე დაწესებულებას გადაწყვეტილი აქვს, რომ არ მიიღონ ბევრი უცხოელი სტუდენტი. სააგენტოს წარმომადგენლის მიერ გამოთქმულ ცვლილებებთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ ცვლილებების დაქვემდებარებაში იქნებიან და საწინააღმდეგო არაფერია. „საზღვაო ნავიგაციის“ პროგრამაზე სულ იყო 14 რეკომენდაცია და 8 რჩევა, მათგან დაწესებულებამ მხოლოდ 3 საკითხი დატოვეს უყურადღებოდ, რადგან სხვა კითხვები ითვალისწინებდნენ, ანუ 98%-ს დაეთანხმნენ და გაითვალსიწინეს ყველა რეკომენდაცია. ერთადერთი, რაც არ გაუკეთებიათ, არ აუყვანიათ პერსონალი, თუმცა მოიძიეს უკვე 2 ახალგაზრდა გოგონა, შეიქმნება უცხოელ სტუდენტთა დეპარტამენტი დეკანატის სახით, ეყოლებათ ერთი დეკანატი,, დეპარტამენტის შიგნით იქნება 2 გოგონა, რომლებსაც აცნობენ მოთხოვნებს, გადიან ტრენინგებს სამსახურების მიხედვით, გაივლიან სტაჟირებას და ამის შემდეგ, როდესაც უკვე გაივლიან აკრედიტაციას ეს გოგონები, ოფიციალურად/ბრძანებით ჩაირიცხებიან საწესებულებაში.
ცვლილებებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ დაწესებულება გაითვალისწინებს ყველა მათგანს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნათია მიქელთაძემ ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რაზეც საბჭოს წევრმა ისაუბრა ის ნიუანსები ასახულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ხოლო ბიუჯეტი, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა ეს არის ერთი კონკრეტული პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი, რომელიც გათვლილია სტუდენტების

მინიმალურ რაოდენობაზე, რენტაბელობის ზღვარზე, სავარაუდოა რადგან პროგრამა არ არის მოქმედი, თუკი საბჭოს აქვს იმის საჭიროება დააზუსტონ თუ როგორ არის ზოგადად კონკრეტული ხარჯები, სტუდენტების პრაქტიკასთან დაკავშირებული კომპონენტები ასახული ბიუჯეტში, შესაძლებელია წარდგენა, თუმცა ცდება შეხვედრის ფორმატს, შესაძლებელია მიაწოდონ მოქმედი პროგრამებისა და მთლიანად, უნივერსიტეტის ბიუჯეტი რაც მკაფიოდ დაანახებს საბჭოს წევრებს თუ როგორ არის გაწერილი ხარჯები.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ მას უხერხულად ეჩვენა ტერმინი „ცდება“, რადგან არაფერს ცდება, საბჭოს აინტერესებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა, რაც არა არის შემოსავალ-ხარჯის ანალიზი, რამდენად უზრუნველყოფს ფინანსური რესურსი სწავლის შედეგების მიღწევას, ეს არ არის მენეჯმენტის პროგრამა, სადაც გაატარებენ ერთ კვირიან პრაქტიკას, საუბარია უზარმაზარ დანახარჯებზე, რამაც გამოიწვია აღნიშნული კითხვა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია, რასაც საბჭო გამოითხოვს დაწესებულება ყველაფერს წარუდგენს, გამოთქვა იმედი დაწესებულების მიერ პრაქტიკის უზრუნველყოფის ხარჯებისა და სხვა ხარჯების დამაკმაყოფილებლობის შესახებ, რადგან დაწესებულება არ არის წინააღმდეგი არანაირი დოკუმენტის წარდგენისა.
ენასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პროგრამის წინაპირობად განსაზღვრულია B2 დონე, სწავლის დაწყებისთანავე სტუდენტები იწყებენ ინგლისური ენის შესწავლას და მეორე სემესტრიდან სპეციალური ინგლისურის შესწავლას, მათ ექნებათ ინგლისურ ენაზე ოპერირების საშუალება, B2 დონეზე შეეძლებათ ამ ენაზე სწავლა და შემდეგ გააღრმავებენ და როგორც დაგეგმილია დაძლევენ C1 დონეს.
სწავლის შედეგების გამარტივებასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, სწავლის შედეგები გადმოტანილი ჰქონდათ დარგობრივი მახასიათებლიდან, გარდა ამისა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებული შედეგები იყო ჩაშლილი და წარმოდგენილი კურიკულუმში, რამაც შექმნა დაბნეულობა და ექსპერტებთან შეხვედრაზეც დაისვა კითხვა პირველი 4 იყო პროგრამის შედეგი თუ მომდევნო 7, ამიტომ დაწესებულებამ გაამარტივა, შენიშვნა მართებული იყო, რადგან პროგრამის მომზადების პროცესში ჩართული პირისთვის ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გარე თვალმა შესაძლებელია შეამჩნიოს, რომ ზედმეტი/დამაბნეველია, შესაბამისად დაწესებულებამ მიიღო შენიშვნა და მაქსიმალურად გაამარტივეს სწავლის შედეგები. მისი მოსაზრებით არავინ დაობს საკითხზე, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებელთან.
ადმინისტრაციული პერსონალის დამატების შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულებაში ადმინისტრაციულ პერსონალს წარმოადგენს: რექტორი, კანცლერი, ხარისხის სამსახური და კიდევ 3 ადამიანი, მისი განმარტებით ვერ ეყოლებათ 2 რექტორი და 2 კანცლერი, თუმცა დამხმარე პერსონალს სან მადლობა საჭიროებისამებრ დაიმატებენ.
MLC-ის აქცენტირებისთვის მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა „საზღვაო სამართლის“ პედაგოგს დაუსვეს კითხვა, თუ რატომ არ არის გათვალისწინებული მის საგანში MLC-ის საკითხები და მან უპასუხა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდა რეკომენდაციას, როგორც მექანიკის, ასევე ნავიგაციის „საზღვაოს სამართლის“ სილაბუსში აუცილებლად იქნება საჭირო რაოდენობით MLC.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, გიორგი გაბედავამ მენეჯმენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ხელმძღვანელობა და გუნდში მუშაობა“ პირველ რიგში ეს არის კონვენციური საგანი, რომელიც აუცილებელია მეზღვაურებმა იცოდნენ და ამ საგნით განვითარდეს შესაბამისი კომპეტენცია, დარგობრივში 3.5 კომპეტენციაა.
მენეჯმენტსა და მენეჯმენტის საფუძვლებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზოგადი საგანია, მათი კურსდამთავრებულები შემდეგ მენეჯერები ხდებიან გემზე ამათუიმ განყოფილებაში და ზოგადი უნარების განვითარებისათვის საჭიროდ ჩათვალეს, რომ კარგი იქნებოდა ზოგადი მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა. საგნების შინაარსი არ კვეთს ერთმანეთს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ მისი კითხვა არ მოიცავდა მიზეზების განმარტებას, მისი თქმით, როდესაც ისწავლება „გუნდის მართვა“ პრერეკვიზიტად აუცილებლად აქვს ხოლმე, ფაკულტეტსა და პროგრამას გააჩნია, როგროც წესი აღნიშნული სასწავლო კურსი მოითხოვს „მენეჯმენტის საფუძვლებს“, „ინდუსტრიულ ორგანიზაციებს“ ან „შესავალი მენეჯმენტში“, ანუ რაღაც პრერეკვეზიტ ცოდნას, რათა სტუდენტმა იცოდეს თუ რა არის ორგანიზაცია, რა არის მართვის ფუნქცია, გუნდი და ა.შ. დაწესებულებას არჩევითად აქვს შეთავაზებული „ფსიქოლოგია“, „სოციოლოგია“ და ა.შ. სასწავლო კურსები და არ ეკითხებიან რატომ არის არჩევითი, თუმცა „მენეჯმენტის საფუძვლებია“ სავალდებულო და „ლიდერობა და გუნდის მართვა“, საბჭოს წევრის მიერ დასმული კითხვა გულისხმობდა პრერეკვიზიტის არ არსებობას, საკითხები კი ისე ლამაზად არის დალაგებული სწორედაც მენეჯმენტის ცოდნას საჭიროებს, დაინტერესდა დაუშვებს თუ არა დაწესებულება სტუდენტს ლიდერობაზე, რომელიც მენეჯმენტში ჩაიჭრება.
პროგრამის თანახელმძღვანელმა განაცხადა, რომ მათ არ აქვთ განსაზღვრული წინაპირობა, თუმცა პროგრამა თვითონ არ არის მენეჯმენტი, საინჟინრო პროგრამაა, დაწესებულება საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს ცოდნა მენეჯმენტის კუთხით, „ლიდერობა და გუნდის მართვა“ აუცილებლად უნდა შეისწავლოს სტუდენტმა, ერთმანეთს არ უშლის ხელს, თუმცა ეს რომ იყოს წმინდა მენეჯმენტის პროგრამა, აუცილებლად დაეთანხმებოდა საბჭოს წევრს.

17:20საათზე საბჭო დატოვა ანა ფირცხალაშვილმა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:46
დასრულების დრო: 17:46

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1. სასურველია გასწორდეს პროგრამის მიზნების განსაზღვრება და გახდეს უფრო კონკრეტული და მიღწევადი;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მარტივად, ლაკონურად, განზოგადებულად და არ განმეორდეს ერთი და იგივე თემატიკა სხვადასხვა სწავლის შედეგში;
3. რეკომენდირებულია, სწავლის შედეგების რუკის ცვლილება და პროგრამისთვის სპეციფიური სწავლის შედეგების დადგენა, მათი შეფასების ზუსტი გეგმის შემუშავების მიზნით;

4. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, თავიდანვე სავალდებულოდ განისაზღვროს პროგრამის დაძლევისთვის საჭირო ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი ზღვარი;
5. რეკომენდირებულია, პროგრამას დაემატოს 5 კრედიტიანი საგანი „გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები-1972(COLREG-72)";
6. რეკომენდირებულია, პროგრამას დაემატოს 5 კრედიტიანი საგანი „ვექტორული ელექტრონული რუკების ინფორმაციული სისტემა"(ECDIS);
7. რეკომენდირებულია, პროგრამას დაემატოს 5 კრედიტიანი საგანი გემის დატვირთვის დაგეგმარება (Stowage Plan), გემის მდგრადობის საკითხებთან ერთობლიობაში;
8. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს კურიკულუმის ჩანაწერი და სილაბუსი და გემი ელიტას ნაცვლად ECDIS-ის შესწავლა გადმოიტანოს სიმულატორულ წვრთნაში;
9. .რეკომენდებულია, სასწავლო უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაში სტუდენტთა რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის განსაზღვრა.
10. „საბაკალავრო ნაშრომის" წინაპირობად დამატებით განისაზღვროს სასწავლო კურსი „წერითი და ზეპირი კომუნიკაციები";
11. რეკომენდირებულია საზღვაო პრაქტიკა, რომლისთვისაც განსაზღვრულია 30 კრედიტი, განხორციელდეს ისეთი პარამეტრების მქონე გემზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება დარგობრივ მახასიათებელთან;
12. რეკომენდირებულია დაწესებულებამ დააკორექტიროს პროგრამის კურიკულუმი და საზღვაო წვრთნები განსაზღვროს პრაქტიკის სხვა ობიექტზე;
13. რეკომენდებულია, რომ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას, მნიშვნელოვანია, რომ შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები არ იყოს უნიფიცირებული, აგრეთვე მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების მეთოდების რაოდენობა და დეტალურად გაიწეროს თუ როგორ ნაწილდება გამოცდის ქულა შეფასების თითოეულ მეთოდებზე;
14. რეკომენდებულია, ბნსუ-მ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ უნარების განვითარებისათვის ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა;
15. მიზანშეწონილია გაიზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;
16. რეკომედირებულია განახლდეს სატვირთო და საბალასტო ოპერაციების სიმულატორი, რათა გაიზარდოს აღნიშნულ სიმულატორზე სტუდენტთა პრაქტიკის გავლის წარმადობა;
17. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოიძიოს დამატებითი კომპანიები, რომლებიც გარანტირებულად უზრუნველყოფენ საზღვაო პრაქტიკის გავლას ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის;
18. უფრო დეტალურად და ნათლად გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი, მასში პროგრამის მატერიალური ბაზის განახლების და პრაქტიკის განხორციელების ხარჯების ასახვით;

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:
1. მიზანშეწონილია მომავალში ბნსუ-მ უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში;
2. სასურველია კურიკულუმში გასწორდეს არჩევითი სასწავლო კურსის „რუსული ენა საზღვაო ტერმინოლოგიით" წინაპირობა, კერძოდ: „იმ სტდენტებისთვის, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარეს რუსული ენა ან ფლობენ მას B1 დონეზე" - აღსანიშნავია, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სტუდენტი მხოლოდ ინგლისური ენით უნდა აბარებდეს;
3. სილაბუსებში უნდა იყოს მინიშნება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ სემესტრში ისწავლება მოცემული საგანი;

4. სასურველია სილაბუსში მითითება იყოს გაკეთებული იმასთან დაკავშირებით, თუ „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ (STCW) რომელი თავის მოთხოვნების შესაბამისად არის შედგენილი მოცემული საგნის სილაბუსი;
5. მიზანშეწონილია საზღვაო სამართლის კურსში შევიდეს მეზღვაურის შრომის უფლებების კონვენციასთან (MLC 2006) დაკავშირებული საკითხები;
6. საგანში ფიზიკა 2-ის სილაბუსში წინაპირობად უნდა ჩაიწეროს, რომ სტუდენტი დაიშვება მხოლოდ საგანი ფიზიკა 1-ის გავლის შემდეგ;
7. პროგრამის სილაბუსებში მეორდება ერთი და იგივე საკითხები (ნავიგაცია I და ნავიგაცია IV, რაც მოითხოვს სილაბუსის ავტორთა მიერ კორექტირებას;
8. სასურველია, ბნსუ-მ ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის სამომავლოდ უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-3^1 პ უნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გემის მექანიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო

		ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0716, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის გამზირი №38, მახინჯაური, ბათუმი, აჭარა, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გივი სანაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მარტივად, ლაკონურად, განზოგადებულად და არ განმეორდეს ერთი და იგივე თემატიკა სხვადასხვა სწავლის შედეგში - დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას;
2. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, თავიდანვე სავალდებულოდ განისაზღვროს პროგრამის დაძლევისთვის საჭირო ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი ზღვარი;
3. დარგობრივი მახასიათებლის და პროგრამის სწავლის შედეგების მოთხოვნილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს განუვითარებს სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უნარებს, ხოლო სასწავლო კურსს „გემის დიზელის ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია“ მიეცეს სავალდებულო და არა არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი - რეკომენდაცია გაიცა, რადგან ეს ყველაფერი მითითებულია დარგობრივ მახასიათებელში,

დაწესებულებამ იგი ნაწილობრივ გაიზიარა, რაც ექსპერტთა ჯგუფისთვის ცოტა გასაკვირი იყო. დაწესებულებამ განმარტა, რომ გემის ექსპლუატაციის საკითხები გაწერილი იყო შიდაწვის ძრავებში, ის სილაბუსები, რომლებიც წარდგენილია, დაწვრილებით გადახედეს, თუმცა აღნიშნული არ დასტურდება, ამიტომ რეკომენდაცია ძალაში დარჩა;

4. სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები გაიწეროს ისე, რომ არ იყოს უნიფიცირებული, აგრეთვე დაკონკრეტდეს შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების მეთოდების რაოდენობა და დეტალურად გაიწეროს თუ როგორ ნაწილდება გამოცდის ქულა შეფასების თითოეულ მეთოდებზე;

5. უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაში განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა - აღნიშნული მითითებულია სტანდარტში და დაწესებულებამ გაიზიარა იგი;

6. საზღვაო პრაქტიკის მთლიანი 30 კრედიტის გავლა პროგრამაში განისაზღვროს დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილი პარამეტრების მქონე გემზე - დარგობრივ მახასიათებელში პირდაპირ არის მითითებული, რომ სიმძლავრე ამ გემის უნდა იყოს არანაკლებ 700 კვტ-ისა, გემი კი რომელიც წარადგინა დაწესებულებამ არის 103 კვტ-ის. დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას, დადეს ხელშეკრულებაც;

7. დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავებისა და ორგანიზების უნარების მქონე პროგრამის ხელმძღვანელი - დაწესებულებამ განაცხადა, რომ ისინი აპირებენ ხელმძღვანელის გამოცვლას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის წევრები გულისხმობდნენ არსებული ხელმძღვანელების დატრენინგებას, განათლების სტანდარტების მიმართულებით, რადგან მთავარი წამყვანი/დირიჟორი ამ პროგრამისა უნდა იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, ექსპერტთა ჯგუფს არ შეაქვთ ეჭვი პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციაში;

8. დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილი მატერიალური რესურსის სრულყოფა: უზრუნველყოფილ იქნას სახარატო დაზგის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა (ხელისა და ფეხის ავარიული გამორთვის შესაძლებლობა, სახისა და თვალის დამცავი ფარით აღჭურვა, საბურღ მოწყობილობას დაუმონტაჟოს ავარიული გამორთვის შესაძლებლობა); ჩარხს დაუმონტაჟდეს ავარიული გამორთვის მოწყობილობა; შეკეთდეს საშემდუღებლო მოწყობილობა, მოეწყოს გამწოვი სავენტილაციო მოწყობილობა ნამწვი აირის გაწოვისათვის, სახანძრო დეტექტორის გამომრთველი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, ცეცხლმაქრი ელექტრომოწყობილობებისთვის. საშემდუღებლო სამუშაოების ადგილი დაცულ იქნას ცეცხლგამძლე ფარდით და უზრუნველყოფილ იქნას პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთის არსებობა; ელექტრო ლაბორატორიაში წინაღობების შეერთების სტენდზე დაცული იქნას უსაფრთხოების ზომები (არ უნდა იყოს ღია ელექტრო-მოწყობილობა და ღია ელექტრო მავთულები); მოწყობილ იქნას სამანქანე განყოფილება, სადაც განთავსებული ექნება შიგა წვის ძრავა და მისი სათადარიგო ნაწილები - რეკომენდაცია ეხება მე-4 სტანდარტს, აქ არ არის სერიოზული დარღვევები, ძირითადად შეეხება უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას, ავარიული გამორთვების მოწყობილობის დამონტაჟებას, გამწოვი სავენტილაციო მოწყობილობის მოწყობას, სამედიცინო ჩანთის არსებობას და ა.შ. ბევრი პუნქტია, მაგრამ მარტივი გამოსასწორებელია, სჭირდება რამდენიმე თვე. ერთადერთი არის სამანქანოსთან დაკავშირებული საკითხები, ანუ მოწყობილ იქნას სამანქანო განყოფილება, ექსპერტი აქ სირთულეს ვერ ხედავს, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებმა უთხრეს, რომ მათ აქვთ სამანქანე მოწყობილობები და შეუძლიათ მოაწყონ, მას არ სჭირდება წლები;

9. უფრო დეტალურად და ნათლად გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი, მასში პროგრამის მატერიალური ბაზის განახლების და პრაქტიკის განხორციელების ხარჯების ასახვით - ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღეს ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ, რადგან ძალიან განზოგადებული იყო და მოითხოვეს მისი დაზუსტება.

რჩევებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტებმა დიდი დრო დახარჯეს რჩევებისა და რეკომენდაციების გამიჯვნაზე, რჩევები არის რჩევითი

ხასიათის. მისი თქმით საბჭოს შესაძლებელია გაუჩნდეს კითხვა მე-2 რჩევასთან დაკავშირებით (მიზანშეწონილია მომავალში გადახედილ და გაზრდილ იქნას ინჟინრის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი ფუნდამენტური სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა: საინჟინრო გრაფიკა, მათემატიკა, ქიმია, თეორიული მექანიკა (ძირითადი ცნებები), გემის აგებულება და თეორია, მექანიზმების და მანქანების თეორია მანქანათა ნაწილები (ძირითადი ცნებები). ამასთან ზემოაღნიშნულ ზოგიერთ სასწავლო კურსების დასახელებებში მოცილდეს „(ძირითადი ცნებების)“ მინიშნება) ეს არის რჩევა, რომ ამ საკითხებს მომავალში მიაქციონ ყურადღება, რადგან ეს არის ფუნდამენტური საგნები, რომლებიც იცავს ბაკალავრის ინჟინრის კვალიფიკაციას და პროფესიული ნიშნის მიმართულებით არ წავიდნენ.
უცხოელ მოწვეულ პედაგოგთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ მათ შეისწავლეს აღნიშნული საკითხი, საქმე არაა დასმული, რომ იგი კითხულობს 8-9 სასწავლო კურსს, საუბარია მონათესავე საგნების გაერთიანებაზე, ესენია „თეორიული მექანიკა“, „მასალათა გამძლეობა“ და სხვა, ეს ყველაფერი დასავლეთში ისწავლება ერთ საგნად - მექანიკად, ეს არის საბჭოთა სტრუქტურა, რომ უნდა იყოს გაშლილი და იგი ვერ ხედავს დარღვევას, დასავლური სტანდარტებით აღნიშნულ ლექტორის უწევს 2-3 საგნის წაკითხვა, იგივე შეეხება გემის კონსტრუქცია/მდგრადობა და ა.შ. მონათესავე დარგებია და ვერავითარ პრობლემას ვერ ხედავს.
რჩევების შესახებ მან განაცხადა, რომ საერთო შეფასებით წარმოდგენილ პროგრამაში არ ფიქსირდება სტანდარტის უხეში დარღვევა, რომელთა გამოსწორებას დასჭირდება მნიშვნელოვანი ვადები/რესურსები, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მე-4 სტანდარტზე, ეს არის ლაბორატორიების გაძლიერება და ხელშეკრულებების დადება, რაც არ მოითხოვს სერიოზულ ვადებს და გამოსწორებადია, აქედან გამომდინარე დაწესებულებამ მთლიანობაში ამოცანას თავი გაართვა, ეს არის რთული/ინგლისურენოვანი პროგრამა, შიძლება COVID-მა შეუშალა ხელი, მაგრამ საბოლოო ჯამში გამოხატა კმაყოფილება და საერთოდ, აღნიშნული პროგრამა იმსახურებს მხარდაჭერას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნათია მიქელთაძემ მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ინფორმაციით არ დაეთანხმა დაწესებულება, განაცხადა, რომ დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას, უბრალოდ გააკეთეს პატარა განმარტება, რომ გემის დიზელის ძრავების ტექნიკური ექსპლოატაცია მიმართულია სავალდებულო საგნებით, კერძოდ „შიდაწვის ძრავები“ და „გემების და მათი ტექნიკური საშუალებების ექსპლოატაცია“, რომელთაგან მეორე 10 კრედიტიანი საგანია, ამ სასწავლო კურსების შედეგად ნასწავლის გაღრმავებაზე არის მიმართული არჩევითი კურსი, თუმცა დაწესებულებას არ უგულისხმია, რომ არ გადააქცევენ აღნიშნულ არჩევით საგანს სავალდებულოდ და ეს რეკომენდაცია აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. დაწესებულება სრულად ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ სტუდენტებს უნდა განუვითარდეთ სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამების გამოყენების უნარები და აუცილებლად იქნება შემუშავებული აღნიშნული სასწავლო კურსი.
პროგრამის ხელმძღვანელთან მიმართებით რეკომენდაციაზე მან განაცხადა, რომ აბსოლუტურად სამართლიანი იყო და ზოგადად სასიამოვნო იყო ამ პროგრამაზე ექსპერტების ამ შემადგენლობასთან ერთად მუშაობა. დაწესებულება შესაბამის ტრენინგებს შესთავაზებს პროგრამის მოქმედ ხელმძღვანელებს და გარდა ამისა დაწესებულებამ პროგრამის თანახელმძღვანელობაზე დაითანხმეს უფროსი მექანიკოსი, დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ცნობილია მისი კომპეტენცია და უნარები შეესაბამება მოთხოვნილს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდირებულს, წარმატებული და ცნობილი უფროსი მექანიკოსია - ვლადიმერ პარშინი.

მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან მოთხოვა ეკრანის გაზიარების უფლება, რათა საბჭოს წევრებისთვის ეჩვენებინა რამდენიმე სლაიდი, თუ რა გაკეთდა დაწესებულების მიერ რეკომენდაციის მიღებიდან საბჭოს სხდომამდე.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ საბჭო არ არის უფლებამოსილი გაითვალისწინოს ვიზიტის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მათთვის გასაგებია და გრძნობენ პასუხიმგებლობას ექსპერტთა ჯგუფის წინაშე, რომელმაც არაჩვეულებრივად იმუშავა დაწესებულებაში და სურდათ ეჩვენებინათ რამდენად არის გათვალისწინებული ისინი.
ხელის და ფეხი ავტომატურ ჩამრთავ/გამომრთავთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია უკვე შესრულებულია და ავარიული გამომმრთველები უკვე დამონტაჟებულია იქ სადაც საჭიროა ხელისაა და დაზგაზე ფეხისაა, მსხვილი რეკომენდაციის აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია.
გამოწოვის შესახებ განაცხადა, რომ გამწოვი დამონტაჟდა შესაბამის ადგილას და ყველა ნორმა დაცული იქნება პროცესის უსაფრთხოდ შესრულებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არ სურდა გამოსულიყო ისე, რომ თითქოს საბჭო ითვალისწინებდა აღნიშნულ გარემოებებს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დასძინა, რომ შეეძლოთ არ გაეთვალისწინებინათ. მან განმარტა, რომ სამანქანე განყოფილების მოსაწყობად დაწესებულებამ შეიძინა, თურქეთიდან ჩამოიტანა დიზელის ძრავა, რომლის პარამეტრებიც შეესაბამება მოთხოვნილს, ჯერ-ჯერობით იგი დამონტაჟებული არ არის, რადგან სხდომამდე 2 დღით ადრე ჩამოვიდა, მაგრამ სამანქანე განყოფილების სტანდარტების შესაბამისად გაძლერებისათვის მუშაობა უკვე დაწყებულია, დაწესებულება უკვე ხარაჩოებშია ჩასმული, იწყება მისი მასშტაბური რეკონსტრუქცია, სამანქანე განყოფილებისთვის გამოიყოფა ცალკე სივრცე, რომელშიც ეს ყველაფერი, 200კვ.მ. სივრცე სადაც ეს ყველაფერი აიწყობა.
დაწესებულება ითვალისწინებს მე-8 რეკომენდაციას და თითქმის შეასრულეს. ასევე იზიარებს ბიუჯეტთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, სადაც უკეთ ჩაშლიან პრაქტიკის განხორციელების ხარჯებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სააგენტოს დირექტორის მოადგილემ, ივანე აბაშიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რათა კარგად წარმოაჩინა მათ მიერ განხორციელებული საქმე, მეორე მხრივ კი ისე არ უნდა წარმოაჩინონ დარგში არსებული გამოწვევები, რომ ეს არის ერთ დღეში/ერთი ხელშეკრულებით გადაწყვეტადი საკითხი. დაწესებულებამაც შესანიშნავად იცის, რომ პრაქტიკის პრობლემა არის დარგის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა, ეს ეხება არა მხოლოდ განსახილველ უნივერსიტეტს, არამედ ამ დარგში მოღვაწე სხვა უნივერსიტეტებსაც, ისე არ უნდა წარმოაჩინონ, რომ აკრედიტაციით დარგში ყველაფერი აყვავდა და პრობლემა აღარ იქნება, მისი მოსაზრებით ასეთი შეფასებებისგან ექსპერტებმა თავი უნდა შეიკავონ, რადგან ეს არის ძირითადი გამოწვევა დარგში.
პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით მისი განცხადებით მოქმედი მეზღვაურის მოწვევა არ ნიშნავს, რომ იქნება პროგრამის კარგი ხელმძღვანელი, დაინტერესდა თუ რა მოყვება დაწესებულების მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს, მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ კანონის შესაბამისად აკრედიტაციებს/ავტორიზაციებს ყოველწლიურად სააგენტო ვალდებულია სასწავლებლების შემოწმებაზე და თუკი აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობას აღმოაჩენს, მათ აქვთ ვალდებულება აცნობონ ცენტრს, სწორედ ამიტომ არიან ჩართულები პროცესში.
დაინტერესდა, თუ რამდენად არის სავარაუდო, რომ წარმატებული მექანიკოს პროგრამის კარგი ხელმძღვანელიც იქნება. მიუხედავად ამისა სლაიდზეც ნახეს, რომ მატერიალურ ტექნიკური ბაზა საკმაოდ დაეხმარება პროგრამის განვითარებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დააზუსტა კითხვა, არსებობს თუ არა იმის თეორიული ალბათობა, რომ ვლადიმერ პარშინი აღმოჩნდება პროგრამის კარგი თანახელმძღვანელი.
სააგენტოს დირექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ თუკი ნახავენ პერსონალს, ძირითადად მოწვეულ პერსონალზეა დამყარებული პროგრამა, რაც ცუდი არ არის.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი დაწესებულების თანამშრომლები არიან.
სააგენტოს დირექტორის მოადგილემ გაიმეორა მის მიერ დასმული კითხვა: პროგრამის თანახელმძღვანელი, რომელიც მოიწვიეს და პროგრამის ის ხელმძღვანელი, რომელიც გასაუბრების დროს ექსპერტებთან ყავდათ და ექსპერტმაც აღნიშნა, რომ საჭიროებდა მეტ კვალიფიკაციას, რათა წარმოუდგინოს ექსპერტებს პროგრამა, რომლის ხელმძღვანელიც არის ამ პრობლემის გადაჭრად რამდენად მიაჩნია დაწესებულებას მოქმედი მექანიკოსის მოწვევა და რამდენად გადაჭრის საკითხს.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მადლობა გადაუხადა სააგენტოს დირექტორის მოადგილეს დეტალური განმარტებისთვის. მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ მათი მე-7 რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ პროგრამის ხელმძღვანელი დარგს კარგად იცნობს, მაგრამ პრობლემა აქვს განათლების საკითხებთან და შესაბამისად კიდევ ერთი მექანიკოსის დამატებით რეკომენდაცია არ შესრულდება, ანუ რეკომენდაციის არსი იყო, რომ თანახელმძღვანელად დაენიშნათ არა დარგის მცოდნე, არამედ განათლების საკითხების მცოდნე, პროგრამის, სტრუქტურისა და აღნაგობის. მისი მოსაზრებით კარგია, რომ უნივერსიტეტმა დაიწყო რეკომენდაციების შესრულება, მე-8 რეკომენდაციაში, იქ სადაც საუბარია უსაფრთხოებებზე, სანამ ყველაფერი არ შესრულდება შესაძლებელია თუ არ პროგრამის დაწყება და რა დრო დასჭირდება ბოლომდე შესრულებას.
საბჭოს თავმჯდომარემ 4.1 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რჩევის სახით არის გაწერილი, რომ პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია გაიზარდოს დარგობრივი მიმართულების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, მსგავსი რეკომენდაციის სახით იყო მითითებული მხოლოდ ადმინისტრაციულ პერსონალზე და სთხოვა განემარტათ აღნიშნული ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, გივი სანაძეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გივი სანაძემ უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ შესაძლებელია პროგრამას მიეცეს აკრედიტაცია ანგარიშით, ხარისხის პროცედურაა ჩვეულებრივი, მაგ., 6 თვეში უნდა მოხდეს ყველაფრის გასწორება, რომელიც გულისხმობს უსაფრთხოების წესების დაცვას საჭიროებს რამდენიმე კვირას/თვეს, სხვები კი შესაძლებელია მოგვარდეს ხელშეკრულებით, ანუ ორივე მიმართულების მოგვარებაა შესაძლებელი.
პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა მოსაზრებები, თუმცა საბოლოოდ დადგინდა როგორც რჩევა, რადგან ის პერსონალი, რომელიც ყავს უნივერსიტეტს საკმარისია, რადგან მათ არ აქვთ ბევრი პროგრამები და შესაბამისად თავისუფლად ართმევენ თავს.
მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის ორივე ხელმძღვანელი პროფესიონალია, მაგრამ დააკლდათ ხარისხის მენეჯმენტის მიმართულებით პასუხები, კურიკულუმი, რუკა და ა.შ. შესაბამისად კარგი იქნებოდა, თუ მოხდებოდა დატრენინგება ამ მხრივ, ექსპერტთა ჯგუფს არ უფიქრია, რომ დაწესებულებას მოეწვია ახალი ხელმძღვანელი, ამას შესრულებად ვერ მიიღებენ.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გაიოზ ფარცხალაძეს.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ კვალიფიკაციაში წერია „ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში“, დაინტერესდა ხომ არ ფიქრობენ უკეთესი იქნებოდა „საზღვაო ინჟინერიის ბაკალავრი“ დაერქვათ კვალიფიკაცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დაძინა, რომ ეს არი იყო დამოკიდებული დაწესებულებაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ, როდესაც იქმნებოდა საკვალიფიკაციო ჩარჩო და ა.შ. იქ იწერებოდა თუ როგორ უნდა დაიწეროს, ინგლისურად ასე წერია და მისი აბრივიატურაა ქართულად, საკვალიფიკაციო ჩარჩოს ბოლო ფურცელზეა მოცემული კვალიფიკაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ნათია მიქელთაძეს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები გაივლიან შესაბამის ტრენინგებს, თუმცა უფროსი მექნიკოსის დამატება პროგრამის თანახელმძღვანელად პროგრამის ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს, რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ყურადღება გამახვილებულ საკითხებს, აბსოლუტურად სამართლიანი შენიშვნებია და დაწესებულება ყოველწლიურად გეგმავს დარგის სპეციალისტებისათვის სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის, პროგრამის შემუშავების და სხვა დაკავშირებულ ტრენინგებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პირადად არის პასუხისმგებელი აღნიშნული ტრენინგების ჩატარებასა და მომზადებაზე, შესაბამისად შეუძლია წარმოადგინოს ანგარიში უკვე ჩატარებული შესაბამისი ტრენინგების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება მიიღებს ყველანაირ ზომას მითითებისთვის და პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან ყველა იმ სირთულის დაძლევას, რომელიც მის შემუშავებას, განხორციელებასა და მონიტორინგს ახლავს თან.
უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ პრაქტიკულად ყველა მითითება შეასრულა, რომელიც აღნიშნულ რეკომენდაციაში იყო გაწერილი. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა ზომა მოცემული მომენტისთვის დაცულია.
ექსპერტმა, ნინო გორგოშაძემ მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იქ არის გამოსასწორებელი, რაც ეხება უსაფრთხოებას და არის მთავარი კომპონენტი სამანქანე განყოფილების მოწყობის შესახებ, სადაც განთავსებული იქნება შიგაწვის ძრავა და მისი სათადარიგო ნაწილები, ექსპერტი არ არის მექანიკოსი და შესაძლებელია ვერ გამოთქვამდა სწორად, სათადარიგო ნაწილებში იგულისხმებოდა დგუში და გამშვები, შიგაწვის ძრავის და საბალასტო ოპერაციებისთვის საჭირო მოწყობილობები, ანუ კომპლექტში უნდა იყოს, რომ სტუდენტს შეექმნას შესაბამისი წარმოდგენა შიგაწვის ძრავის მუშაობასთან დაკავშირებით, როგორ იშლება და ა.შ. რაც ექსპერტებს უნახავთ სხვა დაწესებულებებში თუ როგორ უნდა იყოს იქიდან გამომდინარე იქნა მიღებული რეკომენდაცია, თავისთავად კარგი იქნება ქართულენოვანი პროგრამის განვითარებისთვისაც. მსგავსი რეკომენდაცია წარდგენილი იყო აკრედიტაციის პროცესში და ახლაც საჭირო გახდა.
პერსონალთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებას ყავს 18 მოწვეული და 8 აკადემიური პერსონალი, სწორედ ის თურქი სპეციალისტი უძღვება ისეთ საგნებს, როგორებიცაა „თეორიული მექანიკა“, „მასალათა გამძლეობა“, „თერმოდინამიკა“, „თბოგადაცემა“, „პნევმატიკა“, „ჰიდრავლიკა“ და ა.შ. კურსების წამყვანი არის ეს პიროვნება, საინტერესოა თუ რამდენად მდგრადი იქნება პროგრამა თუ აღნიშნული სასწავლო კურსები მიბმული იქნება ერთ ადამიანზე.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტის მიერ გამოთქმული მოსაზრება ამ შემთხვევაში რჩევაში წერია, წინა პროგრამაში კი რეკომენდაციაში ეწერა ადმინისტრაციული პერსონალი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ იქ აკადემიური პერსონალის თანაფარდობა შედარებით დაცული იყო და თავმჯდომარემ მხოლოდ ადმინისტრაციულ პერსონალზე გაწერილი რეკომენდაცია ჩათვალა საჭიროდ. ამ შემთხვევაში, კი ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით რაკი პროგრამა ჯერ არ არის გაშვებული უნივერსიტეტმა პირდაპირ აიყვანოს პერსონალი და ჰყავდეს აკადემიურ პერსონალად რთულია, ამიტომ დაიწყოს პროგრამა და მისი განვითარების შესაბამისად მოხდება აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, დარგის სპეციალისტის

მოძიება საქართველოში არის ძალიან რთული, სწორედ აქედან ჩნდება ეჭვი პროგრამის მდგრადობის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ აქ პრობლემა არის არა აკადემიური პერსონალის სიმცირე, არამედ ის, რომ ერთი ადამიანი კითხულობს 8 საგანს, „მასალათა გამძლეობა“ და „თერმოდინამიკა“ მთლად ახლოს არ არის ცოტა სხვადსხვა ველებია, უბრალოდ ინგლისურენოვანი ძალიან ჭირს და აქ უკვე პრობლემაა, თუ პირველ კურსზე ჭირს მეორე კურსზე არ გვარდება, არ მოვა წამკითხველები უცებ, ამიტომ ჯობია ახლავე იყოს წარმოდგენილი, თუკი ბათუმის რომელიმე უნივერსიტეტი გააკეთებს მექანიკის პროგრამას და მიიწვევს აღნიშნულ ადამიანს უკეთესი პირობებით, ქართულად წამკითხველს იპოვიან, მაგრამ ინგლისურად წამკითხველის მოძებნა არ არის მარტვი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს მისი შესასწავლი სფეროა, მაგ., თეორიული მექანიკა, ასეთი საგანი არ არსებობს დასავლურ სტანდარტებში და არის საბჭოთა გადმონაშთი, მან სპეციალურად გადაამოწმა ანალოგიური პროგრამები დასავლეთში, პირდაპირ წერია მექანიკა, სადაც გაერთიანებულია: მექანიკა, სტატიკა, მასალათა გამძლეობა და სხვა, ერთი საგანია რაც შეეხება თერმოდინამიკას, პნევმაიტიკას და სხვა, შემოდის ხალი საგანი თერმოდინამიკა და ჰიდრო აერო მექანიკა. ფაქტობრივად რაც უკვე ითქვა წარმოდგენილია აღნიშნული ორი საგნის სახით, მესამე ჯგუფი ჰქონდათ, რომელიც შეეხებოდა კონსტრუქციას/მდგრადობას. კარგია რომ ამ ყველაფერს ერთი ლექტორი კითხულობს, არ არის ისე, რომ რაც უნდა იმას კითხულობს, ჩაშლილია, რადგან ასეა გაწერილი დარგობრივ მახასიათებელში, არ უნდა იყოს ასეთი სახით წარმოდგენილი, უმჯობესი იქნება შემოიტანონ მოკლე, ლაკონური დასახელებები. სხვა პროგრამაში პირდაპირ ეწერა მექანიკა და ჰიდრო მექანიკა, დაშლილი დაცალკევებულია, ტექნიკური მხარეა და არ არის საუბარი იმაზე, რომ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები უნდა მოიწვიონ და ერთი ვერ შეძლებს მათ წაკითხვას.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ საუბარი არ იყო წაიკითხავდა თუ ვერ წაიკითხავდა, რადგან დარწმუნებულია, რომ წაიკითხავდა, პრობლემა არის ის რომ არის ერთი ლექტორი. დაინტერესდა ექსპერტის მიერ ნახსენები „მექანიკა“ არის თუ არა 5 კრედიტიანი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შესაძლებელია იყოს 10-15 კრედიტიანი საგანი.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დასძინა, რომ მაშინ ჯდება ლოგიკა 3 საგანი ყოფილა და ძალიან დამოკიდებულია უმაღლესი ერთ ადამიანზე, საუბარი არ არის მის კომპეტენციაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრს. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ინტერვიუ აღნიშნულ პიროვნებასთან და მან გამოამჟღავნა კომპეტენტურობა, პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება, წინასწარ, 4 წლით ადრე ძნელია სპეციალისტების მოძებნა და უნივერსიტეტს ნამდვილად ექნება შესაძლებლობა ამ მიმართულებაში გაშალოს აკადემიური პერსონალი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გაიოზ ფარცხალაძეს.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით ექსპერტი ახალ ინტერპრეტირებას აკეთებს, არ არის ისე, როგორც ამბობს, მექანიკა იყოფა სხვადასხვა დარგებად და მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თეორიული მექანიკა, რომელიც ასევე ორ ნაწილად იყოფა: სტატიკა (რომელშიც იგულისხმება კინემატიკაც) და დინამიკა, გააჩნია რომელი ნაწილი სჭირდება მექანიკის ამ ნაწილების შესწავლა, არის ზოგი რომ არ სჭირდება დინამიკა, ზოგს არ სჭირდება სტატიკა, არის რომ ორივე სჭირდება და ის სწავლობს თეორიულ მექანიკას. მეორე, რასაც ექსპერტი ამბობს სითხეების მექანიკაზე საბჭოს წევრის მოსაზრებით არასწორია, რადგან ზოგადად სითხეების მექანიკა ქართულად ნათარგმნია თეორიაში, შეიძლება ყველა ერთად გაერთიანდეს და დაერქვას - ჰიდრავლიკა და მასში შედის, როგორც

თხევადი და აირადი სითხე, ხოლო რაც შეეხება სითხეების მექანიკას, ინგლისურად წარმატებული ნათარგმნი არ უნდა იყოს, რადგან ეს არის Mechanics of fluids არის ინგლისურენოვან სახელმძღვანელოებში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე არ დაეთანხმა საბჭოს წევრს.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ გააჩნია უნივერსიტეტს, რადგან ინგლისური ენა ძალიან ფართოა. Mechanics of fluids არის ცალკე და შესაძლებელია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანახმად, შესაძლებელია იყოს სითხისა და აირის მექანიკა, პნევმატიკა როგორ შემოდის ეს ცალკე სადავო საკითხია.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, ივანე აბაშიძეს.
სააგენტოს დირექტორის მოადგილემ, ივანე აბაშიძემ განაცხადა, რომ ისეთ კომპეტენტურ დებატებში გადავიდა სხდომა ამ საკითხზე კომენტარს ვერ გააკეთებდა, თუმცა მას სურდა განემარტა, რომ თუ კი საკვალიფიკაციო ამბობს რომ ეს ასე უნდა იყოს დაწესებულებისთვის არის მოცემულობა და ვერ შეცვლიან, ამას დაწესებულება ისე კი არ უნდა აწოდებდეს საბჭოს, რომ ერთი ადამიანი ყველაფერში კომპეტენტურია, არამედ უნდა აფასებდნენ სტანდარტის კუთხით რამდენად შეძლებს ეს ადამიანი წაიკითხოს რვავე საგანი და ამ ადამიანზე იყოს მიბმული, საუბარი არ არის კომპეტენტურია თუ არა, შეფასება, ჟღერს, რომ ისეთი უნივერსალური ადამიანია შეუძლია ერთ დღეში 8 ლექცია წაიკითხოს, გასაგებია, შესაძლებელია ასეთები არსებობდნენ, მაგრამ საბჭო ვერ დარწმუნდა აღნიშნულ კომპონენტში, რადგან საუბრობენ დასავლურ სტანდარტებზე, როდესაც აქვთ ქართული საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელიც ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო დოკუმენტად, სახელწოდებით მეზღვაურების წვრთნისთვის, რასაც ადასტურებს საერთაშორისო რეიტინგებიც, ამიტომ ეს საბჭოთა მიდგომა კი არ არის ეს არის საკვალიფიკაციო ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც ზუსტად ამბობს მეზღვაურის კომპეტენციის მისაღწევად რა უნდა გაიაროს მეზღვაურმა, სწორედ ამიტომ შეზღუდა სასწავლებლები კრედიტებში, საათებში და ა.შ., რომ კონკრეტულად მიუთითა რაზე უნდა გაეკეთებინა ორიენტირი, რათა მიეღო ხარისხიანი მეზღვაური, საუბარია ამ საკითხზე და არა იმაზე, ხოფის კაპიტანი შეძლებს თუ არა, ხოფას არანაირი პრობლემა არ აქვს, ხალხი შვედეთიდან დადის დანიაში სამუშაოდ, ხიდია შუაში და ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ხოფა აქვეა, 8 კმ-ა ბათუმიდან გადმოვა დილით, გადავა საღამოს ამაში პრობლემას ვერ ხედავს, მისი მოსაზრებით პრობლემა არის ის, რომ ერთ ადამიანზე არ ჩამოკიდონ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობები და სწორედ ამ პოზიციას აფიქსირებდა საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე და ისე არ მიეწოდოს საბჭოს რომ თითქოს ამაზე არ არის საუბარი, რადგან მათი მოსაზრებით ეს ასეა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ნათია მიქელთაძეს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ სხდომაზე მიმდინარეობდა ძალიან საინტერესო დარგობრივი პოლემიკა, თუმცა მას სურდა დაეკონკრეტებინა განმახორციელებელთან დაკავშირებული საკითხი, მოცემული მომენტისთვის დაწესებულებას წინარე ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ამ ადამიანთან, რომელთან თანამშრომლობის 12 წლიანი გამოცდილება გააჩნიათ, მონაწილეობდა დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ფორუმებსა და სემინარებში, გარდა ამისა იყო ერთ-ერთი განმახორციელებელი ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის, რომელიც ახორციელებდა ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს, შემდეგ რაღაც დროის მანძილზე აღარ ახორციელებდა და მაშინ, როდესაც ახორციელებდნენ ინგლისურენოვან პროგრამებს და ყავდათ თურქი სტუდენტების დიდი ნაკადი, ეს ადამიანი აქტიურად იყო ჩართული პროგრამების განხორციელებაში, შესაბამისად დაწესებულებას მასთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს და მასაც აქვს დაწესებულებასთან ურთიერთობის დიდი სურვილი, მიუხედავად ამისა თავისთავად ცხადია, რომ განმახორციელებელი, რომელთანაც გაფორმებულია კონკრეტული, წინასწარი ხელშეკრულება საგანანმანათლებლო პროცესში არ არის ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ პროგრამას განახორციელებს, დაწესებულებას ყავს ძალიან ბევრი უცხოელი

პარტნიორი უნივერსიტეტი, რომელთა წარმომადგენლებიც აუცილებლად ჩაერთვებიან პროგრამის განხორციელებაში, მოლაპარაკება დაწყებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ზოგადად ამ პროგრამის აკადემიური პერსონალის გაძლიერების თვალსაზრისით დაწესებულება მუშაობს და ყველა პროგრამის პერსონალის გაძლიერებისთვის მუშაობა მიმდინარეობს ყოველთვის, ურთიერთპატივისცემა არის ის რაზეც დგას დაწესებულება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:37
დასრულების დრო: 19:32

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის I სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ , მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; V სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე მონიტორინგისა და ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მარტივად, ლაკონურად, განზოგადებულად და არ განმეორდეს ერთი და იგივე თემატიკა სხვადასხვა სწავლის შედეგში;
2. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, თავიდანვე სავალდებულოდ განისაზღვროს პროგრამის დაძლევისთვის საჭირო ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი ზღვარი;
3. დარგობრივი მახასიათებლის და პროგრამის სწავლის შედეგების მოთხოვნილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს განუვითარებს სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უნარებს, ხოლო სასწავლო კურსს „გემის დიზელის ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია“ მიეცეს სავალდებულო და არა არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი;
4. უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაში განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა;
5. საზღვაო პრაქტიკის მთლიანი 30 კრედიტის გავლა პროგრამაში განისაზღვროს დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილი პარამეტრების მქონე გემზე;

6. სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები გაიწეროს ისე, რომ არ იყოს უნიფიცირებული, აგრეთვე დაკონკრეტდეს შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების მეთოდების რაოდენობა და დეტალურად გაიწეროს თუ როგორ ნაწილდება გამოცდის ქულა შეფასების თითოეულ მეთოდებზე;
7. დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავებისა და ორგანიზების უნარების მქონე პროგრამის ხელმძღვანელი;
8. დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგობრივი მახასიათებელით მოთხოვნილი მატერიალური რესურსის სრულყოფა: უზრუნველყოფილ იქნას სახარატო დაზგის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა (ხელისა და ფეხის ავარიული გამორთვის შესაძლებლობა, სახისა და თვალის დამცავი ფარით აღჭურვა, საბურღ მოწყობილობას დაუმონტაჟოს ავარიული გამორთვის შესაძლებლობა); ჩარხს დაუმონტაჟდესს ავარიული გამორთვის მოწყობილობა; შეკეთდეს საშემდუღებლო მოწყობილობა, მოეწყოს გამწოვი სავენტილაციო მოწყობილობა ნამწვი აირის გაწოვისათვის, სახანძრო დეტექტორის გამომრთველი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, ცეცხლმაქრი ელექტრომოწყობილობებისთვის. საშემდუღებლო სამუშაოების ადგილი დაცულ იქნას ცეცხლგამძლე ფარდით და უზრუნველყოფილ იქნას პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთის არსებობა; ელექტრო ლაბორატორიაში წინაღობების შეერთების სტენდზე დაცული იქნას უსაფრთხოების ზომები (არ უნდა იყოს ღია ელექტრო-მოწყობილობა და ღია ელექტრო მავთულები); მოწყობილ იქნას სამანქანე განყოფილება, სადაც განთავსებული ექნება შიგა წვის ძრავა და მისი სათადარიგო ნაწილები;
9. უფრო დეტალურად და ნათლად გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი, მასში პროგრამის მატერიალური ბაზის განახლების და პრაქტიკის განხორციელების ხარჯების ასახვით.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:
1. მიზანშეწონილია მომავალში უსდ-მ უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში;
2. მიზანშეწონილია მომავალში გადახედილ და გაზრდილ იქნას ინჟინრის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი ფუნდამენტური სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა: საინჟინრო გრაფიკა, მათემატიკა, ქიმია, თეორიული მექანიკა (ძირითადი ცნებები), გემის აგებულება და თეორია, მექანიზმების და მანქანების თეორია მანქანათა ნაწილები (ძირითადი ცნებები). ამასთან ზემოაღნიშნულ ზოგიერთ სასწავლო კურსების დასახელებებში მოცილდეს „(ძირითადი ცნებების)“ მინიშნება;
3. სასწავლო კურსის დასახელება „ჰიდრომექანიკა და პნევმატიკა“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე სასურველია შეიცვალოს სახელწოდებით 17 „ჰიდროაერომექანიკა (Fluid Mechanics)“, რადგან მასში მიზერულად არის ასახული პნევმატიკის საკითხები;
4. სასწავლო კურსისთვის „გემის ორთქლის ქვაბები, ორთქლის და გაზის ტურბინები“ საკმარისია მხოლოდ ერთი წინაპირობის „ფიზიკა 2“-ის მითითება, ვინაიდან „ფიზიკა 1“ ისედაც წარმოადგენს „ფიზიკა 2“-ის წინაპირობას;
5. სასურველია გადაიხედოს ორი მსგავსი სასწავლო კურსის „ლიდერობა და გუნდის მართვა“ და „ხელმძღვანელობა და გუნდში მუშაობა“ საჭიროება და მოცულობა;
6. მიზანშეწონილია სასაწავლო კურსების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდეს შემდეგი პრინციპით: ერთი სწავლის შედეგი ერთ აქტიურ ზმნას მოიცავს;
7. სასურველის სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულ იქნას სწავლება-სწავლის კონკრეტული მეთოდი რომელ თემატიკის შეესაბამება;
8. სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ უნარების განვითარებისათვის უფრო ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა;
9. სასურველია უსდ-მ ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის სამომავლოდ უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება;

10. პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია გაიზარდოს დარგობრივი მიმართულების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;
11. სასურველია დაწესებულებამ განაახლოს პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკისა და სამაცივრო დანადგარების ლაბორატორია.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი და მე-2 ქვეპუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე მონიტორინგითა და ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

19:32საათზესაბჭოდატოვესნინო ინასარიძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	24.09.2012, გადაწყვეტილება №419
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0711, ქიმიური ინჟინერია და პროცესები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. №69, თბილისი, II სასწავლო კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ელიზბარ ელიზბარაშვილმა, ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ციცინო თურქაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა 4-5 მარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ბევრი იმუშავა დასკვნაზე, რათა ყოფილიყო ისეთი, რომ დაწესებულებას დაენახა გასაუმჯობესებელი მხარეები და დასკვნაში წარდგენილი რჩევები/რეკომენდაციები გამოეყენებინა პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, წარდგენილი შეფასება მხარს უჭერს დაწესებულების მიმართებას, რომ განივითაროს საინჟინრო ტექნოლოგიური მიმართულების პროგრამები, განსაკუთრებით ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის მიმართულებით და ექსპერტთა ჯგუფის ასეთი შეფასებაც განმავითარებელი შეფასების სტილზეა წარდგენილი, ექსპერტთა ჯგუფი მაქსიმალურად ეცადა რეკომენდაციები გაეცათ სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას დაენახა შემდგომი განვითარება

„ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
შეფასების დროს ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა რეკომენდაციების მიხედვით რამდენად მნიშვნელოვანი იყო რეკომენდაცია და რამდენად ჰქონდა დაწესებულებას რეკომენდაციების შესრულებისათვის შესაბამისი პროცესები, რესურსები და ა.შ. დაწესებულება ერთ-ერთი ძლიერი საჯარო უნივერსიტეტია, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, ძლიერი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამისად მეტწილი შესაბამისობა განპირობებულია იმ მექანიზმებით ავტორიზებული უნივერსიტეტით თუ ა.შ. სხვადასხვა მექანიზმებითა და პროცესებით, რაც უნივერსიტეტის წიაღში მიმდინარეობს, ასევე, გამოყენებულია პროგრამასთან მიმართებაში, ამ კუთხით გაცემულია რეკომენდაციები, გათვალისწინებულია ინსტიტუციის მიმართებები რეკომენდაციებზე/დასკვნებზე არგუმენტირებული პოზიცია, გარკვეული საკითხები გაითვალისწინეს რეკომენდაციებში და დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით მახვილაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ მისთვის სასიამოვნოა ციცინო თურქაძესთან და მის გუნდთან ერთად მუშაობა.
1-ელ-მე-2 სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციებში ძირითადად საუბარია სამიზნე ნიშნულების შემუშავებაზე, დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, გარკვეულ პროგრამაზე საბჭოსთან უკვე აქვთ გამოცდილება, სამიზნე ნიშნულები თითქმის ყველგან აქვთ წარდგენილი, განსახილველ პროგრამაში ყველაფერია გაკეთებული სამიზნე ნიშნულების დასაწესებლად, თუმცა ის, რომ შედეგების შეფასება არ ხდება და არ არსებობს მექანიზმი, ეს ასე არის, უბრალოდ საბოლოო ნაბიჯი ამ კუთხით გადასადგმელია, უბრალოდ მათ არ აკადრეს ექსპერტებს/გარე შემფასებლებს, რომ მხოლოდ დოკუმენტურად ყოფილიყო წარმოდგენილი, რაც აქვთ რეალურად, დოკუმენტურად/ფორმალურად მარტივი იქნებოდა, თუმცა აცდენილი იქნებოდა რეალობასთან.
მე-6-მე-8 სწავლის შედეგთან მიმართებით, სადაც საუბარია, რომ გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად ამ მიმართულებით მივიდნენ, გამოიყენოს შესაძლო სრულყოფილებამდე.
„ფილოსოფიის საფუძვლების“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსით არის წარმოდგენილი მე-3 რეკომენდაცია, ამ სტატუსით, აღნიშნული სასწავლო კურსის არსებობა არ წარმოადგენს პრობლემას, თუ მაინცდამაინც შემდეგი მოდიფიცირების ეტაპზე ამ საკითხს განიხილავენ და აუცილებლად, უპირატესად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იმსჯელებენ აღნიშნულ საკითხზე, მან დასძინა, რომ მისი მოსაზრებით აღნიშნული რეკომენდაცია სიმძიმიდან გამომდინარე რჩევას წარმოადგენს და მისი ყოფნა/არ ყოფნა ამ სტატუსით პრობლემას არ ქმნის.
მე-4 რეკომენდაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საუბარია გეგმისა და მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავებასა და განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციაა, პრაქტიკულად გეგმის შემუშავება ლიტერატურის უზრუნველყოფასთან მიმართებაში და ამ მიმართულებით აქტუალური და განახლებული ლიტერატურის უზრუნველყოფაზე. დაწესებულებას აქვს რამდენიმე მექანიზმი, მათ შორის ფაკულტეტის დონეზე: მისია, საგამომცემლო კომისია და სხვა, მაქსიმალურად ცდილობენ შემოიტანონ ახალი სახელმძღვანელოები, თარგმნონ, არ არიან კმაყოფილები იმ მდგომარეობასთან, სადაც არიან,

თუმცა ექსპერტები დარწმუნდნენ, რადგან მათ აქვთ ინფორმაცია ძველ პერიოდზეც, ბოლო პერიოდში მაქსიმალურად წინ გადადგმული ნაბიჯები აქვს დაწესებულებას.
საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის გადახედვასა და კორექტირებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს მსჯელობა უნივერისტეტში, არა მხოლოდ ბაკალავრიატის საფეხურზე, არამედ სხვა საფეხურებზეც, თუმცა იქ სპეციფიური დამოკიდებულება აქვს უნივერსიტეტს, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამეცნიერო ნაშრომებთან მიმართებაში, სილაბუსი ნამდვილად საჭიროებს დახვეწა/განვითარებას, თუმცა ეს დოკუმენტი მუშაობს და ის შედეგები, რაც აქვთ ამ მიმართულებით ყველანაირი ძალისხმევითა და იმ ეტაპებით, რომლებიც გაწერილია სილაბუსში იმ შედეგებს აღწევენ, რაც გაწერილია და იქმნება ნორმალური საბაკალავრო ნაშრომები, ანუ არ იქმნება პრობლემა პრაქტიკული კუთხით, დაწესებულება ეცდება, რომ დოკუმენტალურად/ფორმალურადაც უკეთ გააფორმონ.
გამოყენებით ინფორმატიკასთან მიმართებით დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის, რომ ერთი თემატიკა ნამდვილად არის სხვა სფეროსთან თავსებადი, რაზე კამათიც არ შეიძლება და ეს გასწორდება, თუმცა ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია კურსის ავტორი, მაქსიმალურად ის უნარები რაც სჭირდება, რომ გამოიმუშაოს აღწევენ.
უცხო ენასთან დაკავშირებით გამოთქვა წუხილი, რომ დაწესებულებამ ექსპერტებამდე ვერ მიიტანა, ის პროცესები, რაც უნივერსიტეტში მიმდინარეობს, ინგლისური ენის გასაძლიერებლად, მიმდინარეობს არა ერთი დაფინანსებული პროექტი, ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით, ეს უწერიათ არგუმენტირებულ პოზიციაშიც, თუმცა ესმით საკანონმდებლო მოთხოვნა, რომ ვიზიტის დროს უნდა დაუდასტურონ ექსპერტებს და ამიტომ არ იქნა გათვალისწინებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია.
მისი თქმით დაწესებულება ყველანაირად ცდილობს, რომ თუ სასწავლო პროგრამის ფარგლებში სილაბუსების დახვეწით, ასევე განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები, არ არიან კმაყოფილნი ინგლისური ენის ცოდნის დონით, ვინც ისედაც იცის, მასაც სჭირდება განვითარება და ხელს უწყობენ, უბრალოდ დროში გაწელილი პროცესია და ისეთი შედეგი, როგორიც ძველ თაობას რუსულთან მიმართებაში ჰქონდა ცოტა დრო სჭირდება, რომ ინგლისურთან მიმართებაში ასეთი დამოკიდებულება იყოს.
ხარისხის მართვასთან მიმართებაში გაჟღერებული რეკომენდაციები მეტ-ნაკლებად დაწესებულების ხარისხის მართვის გემოვნება/სტილი საბჭოსა და ექსპერტებისთვის ცნობილია, დაწესებულება ცდილობს მუდმივად გაუმჯობესოს მექანიზმები, ყოველდღიურად მიმდინარეობს სამუშაოები და არ დააბრალებენ პანდემიას, რადგან ამ მიმართულებით ხელს არ უშლის, უბრალოდ დიდი პროცესები დაემთხვა ბოლო ორ წელთან მიმართებით ტექნიკურ უნივერსიტეტში და ეს პროცესები სამწუხაროდ, რაც უპირატესობა ექნებოდა პატარა უნივერსიტეტებს ამ შემთხვევაში ნელი ტემპებით, თუმცა დიდი ეფექტებით მიდის წინ. თვითშეფასების ფარგლებში დაწესებულება აკეთებს სხვადასხვა ტიპის ანალიზებს, ახლა აუთსორსზე აქვთ საკითხები გატანილი, სხვადასხვა მიმართულებით და მთლიანობაში პროგრამა ნორმალურად ხორციელდება და რესურსების უზრუნველყოფაც უკეთ არის წარმოდგენილი, გაუმჯობესება სჭირდება ყველა მიმართულებას, კარგ მდგომარეობაშიც კი, განსაკუთრებით გარე შეფასება, ექსპერტთა ჯგუფის დახმარებით აუცილებლად გამოადგება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, დააფიქსირა ღრმა პატივისცემა უნივერსიტეტისა და ექსპერტების მიმართ, უკვე ჩვევაში გადაუვიდა ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამის მოლოდინი, სადაც იქნება შრომის ბაზრის შეფასება/შესწავლა მეტ-ნაკლებად მისაღებ დონეზე და არ ეწერება, რომ გამოიკითხა 10 რესპოდენტი, რადგან უშვებს, რომ შეიძლება მეთოდოლოგიურად 10 რესპოდენტის გამოკითხვამ ვალიდურ შედეგზე გაიყვანოს, მაგრამ ამისთვის მთელი

მეთოდოლოგია უნდა იყოს სწორად აგებული, მან განუცხადა კოლეგებს, რომ ყველას ჰქონდა ტექნიკური შესაძლებლობები, ყავთ საკმაოდ კარგი, საკუთარი ფაკულტეტი და მიექციათ ყურადღება მათთვის, ბიუჯეტი, რომელიც სტანდარტულადაა წარმოდგენილი, მაგრამ რთულია დასკვნის გამოტანა, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას პროგრამების ფინანსური მდგრადობის საკითხი, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას იგივე რაც ექსპერტებმა მიუთითეს: ლაბორატორიების გაუმჯობესება, ენის სწავლების ამაღლება, საბჭომ სადღაც უნდა დაინახოს და დაწესებულებამაც რეკომენდაციაზე უნდა გასცეს პასუხი, რომ კონკრეტულ ადგილას არის გაწერილი ბიუჯეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელენე ჟურავლოვას.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ განაცხადა, რომ პროგრამის სახელწოდება არის ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია, დაინტერესდა თუ რას ფიქრობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თუმცა საკითხები ისეა გაწერილი, რომ უფრო ქიმიური ინჟინერიაზე უფრო მეტად არის აქცენტი გაკეთებული, მაგრამ ბიოლოგიური ინჟინერიის მეთოდი თუ არის დაფარული, ამასთან დაკავშირებით საბაკალავრო ნაშრომების ჩამონათვალი ნახა და ზოგიერთი მათგანის სახელწოდება ძალიან ზოგადია, დაინტერესდა თუ ნახეს ექსპერტებმა საბაკალავრო ნაშრომები და რა შთაბეჭდილება დარჩათ.

მან განაცხადა, რომ საკმაოდ შთამბეჭდავია დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, ამასთან იყო ჩამონათვალი, მისთვის გასაგებია, რომ ინსტიტუციას დიდი ტრადიციები აკავშირებს პარტნიორებთან, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკა, ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში, ერთი სტუდენტი მიდის ქიმიურ ლაბორატორიაში, რადგან ბიოლოგიურ ინჟინერიაში პრაქტიკა ძალიან უნდა საბჭოს წევრს, რომ ბევრი იყოს, სადაც სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის გავლას შეძლებენ, მაგრამ დაინტერესდა აქვს თუ არა ყველა სტუდენტს თანაბარი შესაძლებლობები აქვს ქიმიური სადაც არის იქაც მიდიან და ბიოლოგიური ინჟინერია,

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, დავით მახვილაძეს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ ძალიან ნერვიულობს ხოლმე საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის მიერ დასახელებულ მიმართულებებზე, დაწესებულების წარმომადგენლებმა ისწავლეს ყველაფერი რაც შეეძლოთ შრომის ბაზართან მიმართებით, ყველაფერს ცდილობენ და კითხულობენ სხვა პროფესორებთანაც და მათი მოსაზრებით აღნიშნული საკითხი შემდეგ განაცხადებში პრობლემა არ იქნება. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს, რადგან მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ აქვს ფინანსური მდგრადობის პრობლემა, ბიუჯეტის აღნიშნული ფორმა იყო მიღებული უნივერსიტეტში და მათ შორის გარე შეფასებაზე პრობლემას არ ქმნიდა. ფორმა შეიცვალა და უფრო დეტალური გახდა პროგრამისთვის გამოყოფილი სახსრები და წყაროები, ამიტომ შემდეგი განაცხადების ძლიერი მხარე იქნება.

პარტნიორ ორგანიზაციებთან დაკავშირებით პრაქტიკული კომპონენტისა და მათ შორის ბიოლოგიური ინჟინერიის შესახებ სასაუბროდ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, მამუკა მაისურაძეს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, მამუკა მაისურაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ არსებობს ბიუჯეტის ახალი ფორმა, ბიუჯეტი მიმართულია პროგრამის განვითარებისკენ და ითვალისწინებს პუნქტობრივად/მუხლობრივად თანხების განთავსებას სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, ამიტომ საერთო ბიუჯეტი, რომელიც არის ფაკულტეტისა და შემდეგ უნივერსიტეტის სწორედ ამ ნიშნით არის თანხები დაჯგუფებული.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ურჩია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რომ ჯობდა არ გაებრაზებინათ საბჭოს წევრი,

რადგან საუბარია პროგრამის ბიუჯეტზე, ამიტომ ჯობია პრაქტიკასთან მიმართებაში ისაუბროს, რადგან ბიუჯეტთან დაკავშირებული ხარვეზი ყველა განაცხადთან დაკავშირებით აქვთ.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა პრაქტიკასთან მიმართებით განაცხადა, პროგრამის ბიუჯეტი მოცემულია ლაკონურად და მთავარი აქცენტი გაკეთებულია იმაზე თუ შემოსავლების რა პროცენტი რჩება განვითარებაზე, უკვე დაწვრილებით აარ აქვთ დაწერილი, მომავალში იმუშავებენ და გაწერენ თუ რას მოხმარდება განვითარების ფონდი კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა შეახსენა კითხვა პრააქტიკასთან დაკავშირებით.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა პრაქტიკის განხორციელების ნაწილში განაცხადა, რომ მათი დიდი სურვილია ქვეყანაში იყოს ბიოტექნოლოგიური ისეთი საწარმოები, როგორებიც ადრე იყო, ტაბახმელას ბიო კომბინატი და ა.შ. სამწუხაროდ ასეთი დიდი კომბინატები აღარ არის, მაგრამ არის საწარმოები, სადაც მიმდინარეობს ბიოტექნოლოგიური პროცესები, ღვინის წარმოება და სხვა, სადაც სტუდენტები მონაწილეობენ პრაქტიკაში და მათ აქვთ საშუალება ნახონ/დააკვირდნენ პროცესებს და მიიღონ მონაწილეობა, პრაქტიკას ძირითადად გადიან „აზოტში“, „ჰაიდელბერგ ცემენტში“ და პურისა და ღვინის/ლუდის საწარმოები, სადაც ბიოტექნოლოგიებს აქვს ადგილი.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა არჩევითია სად წავა თუ ყველა სტუდენტი იქაც მიდის და აქაც.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ თითოეულმა სტუდენტმა პრაქტიკა უნდა გაიაროს ყველგან, ამიტომ მათ აქვთ ვალდებულება გაიარონ პრაქტიკა, როგორც ბიოტექნოლოგიის, ასევე ბიო ინჟინერიის მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ციცინო თ უ რ ქ ა ძ ე ს .

20:16 საათზე საბჭოს შემოუერთდა ელიზბარ ელიზბარაშვილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს დასმული კითხვისთვის. მან განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი ამ მიმართულების ბევრ პროგრამასთან განუხილავთ და თუ გადახედავენ სფეროების კლასიფიკატორს, დაინახავენ, რომ დეტალური კოდით ეს არის 0711 ქიმიური ინჟინერია და პროცესები, ხოლო როდესაც ჩაყვებიან სფეროს დახასიათებას, ეს არის სფერო, რომელიც შეისწავლის პროდუქტებისა და პროცესების ქიმიურ და ფიზიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით, დაგეგმვას, დაპროექტებას, განვითარებას და ა.შ. ქიმიური საწარმოების დაგეგმვას დაპროექტებას, ამ კუთხით შემდეგ ჩაშლილი პირველი სვეტი ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიას განაპირობებს, ის ძირითადი განსხვავება რაც არის პროდუქტებისა და პროცესები ქიმიური და ფიზიკური ცვლილებები, აქ პროგრამა აგებულია, ისე რომ სწორად/ზუსტად პასუხობს იმ დეტალურ სფეროს და შესაბამისად პროგრამას ამ კუთხით გარკვეული ესეთი კუთხით, რომელსაც ბიოლოგიური კუთხით უყურებენ არ აძლევთ საშუალებას ღრმად ჩავიდნენ დეტალური სფეროს გარკვეული აღწერა და ძირითადი სფეროს დახასიათება. ექსპერტის მოსაზრებით ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია შესადარებელია ეს მიმართულება კონკრეტულ ISCED-ის სფეროსთან და გარკვეული აცდენაა ამ კუთხით ქიმიური და ბიოლოგიური საინჟინრო პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და შემდგომი მუშაობის თემაა, რომ შეიძლება დაიხვეწოს სფეროების კლასიფიკატორი. მისი მოსაზრებით პროგრამა პასუხობს ძირითად დეტალურ სფეროს და ქიმიური ინჟინერიის და ბიოლოგიური ინჟინერიის პროცესების შესწავლას აქვს ადგილი, თუმცა გენომის ინჟინერიასა და ა.შ. პროგრამა არ არის აგებული, რადგან შეისწავლის ქიმიურ და ფიზიკურ ცვლილებებს, დაკავშირებულს პროდუქციის მიღებასთან და ამ კუთხით მცენარეული ნედლეულის დამუშავება ფარმაცევტული პროდუქტების მიმართულებით,

სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებით, მცენარეული/ცხოველური ნედლეულის მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ შეახსენა კითხვა საბაკალავრო ნაშრომებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ნახეს საბაკალავრო ნაშრომები, რადგან ეს იყო არჩევითი სასწავლო კურსი და ყველა სტუდენტი არ იცავდა, ასევე რეკომენდაცია მასთან დაკავშირებით განპირობებულია სწორეთ საბაკალავრო ნაშრომების ნახვითა და შეფასებით. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით საბაკალავრო ნაშრომი მნიშვნელოვნად არის გასაუმჯობესებელი, თვითონ პროგრამაში წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომი ისეა, რომ სილაბუსი სხვას ამბობს და საბაკალავრო ნაშრომები სხვას ამბობს, ამიტომ თქვეს, რომ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი და მისი შესრულება მნიშვნელოვნად არის დასახვეწი სწორად წარმოდგეს თუკი საბაკალავრო ნაშრომში ის უნდა შესრულდეს, რაც საბაკალავრო ნაშრომში იყო სილაბუსშიც ის უნდა იყოს გაწერილი და ის ფასდებოდეს, თუკი საბაკალავრო ნაშრომის გეგმა, დაპროექტება ნახაზის წარმოდგენა და ა.შ. არის სწავლის შედეგი/მოთხოვნა საბაკალავრო ნაშრომში უნდა იყოს, როგორ სრულდება ნახაზი, რა ფორმატით წარმოდგება, როგორ სრულდება ანგარიში და ა.შ. აქედან გამომდინარე იყო რეკომენდაცია გაწერილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:24
დასრულების დრო: 20:46

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის;
2. გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, №6 და №8 სწავლის შედეგებისათვის, შესაბამისი სასწავლო კურსებისა და Performance Indicators (PI) წარმოდგენით;
3. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
4. საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და დეპარტამენტების დონეზე შემუშავდეს გეგმა პროგრამის განვითარებისათვის და განისაზღვროს ის მხარდამჭერი მექანიზმები, რომლითაც ეტაპობრივად უზრუნველყოფს მიმართულების/დარგის აქტუალური მიღწევების ასახვას სავალდებულო ლიტერატურაში, რომლის განახლება აუცილებელია უახლესი ლიტერატურის თარგმნით, მათ შორის ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში გამოყენებულ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებზე (BAT) ორიენტირებით;
5. გადამუშავდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი სწავლის შედეგების, კურსის შინაარსისა და შეფასების მეთოდების რევიზირება-განახლებით, ნათლად აღიწეროს სტუდენტის მიერ

შესასრულებელი სამუშაო, გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა მოვიდეს შესაბამისობაში მის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;

6. გადამუშავდეს პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსი „გამოყენებითი ინფორმატიკა“ პროგრამის საჭიროებების მიხედვით. პრაქტიკული უნარების მაქსიმალური განვითარების მიზნით რეკომენდებულია სასწავლო კურსისათვის გათვლილი საკონტაქტო საათები წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ლაბორატორიული პრაქტიკუმის (პრაქტიკული სამუშაოების) ფორმატით;

7. დაიგეგმოს და განხორციელდეს პერსონალის ინგლისური ენის შემსწავლელი მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც მხარდაჭერილი იქნება ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით;

8. ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანები პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის;

9. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური და პროგრამის სამოქმედო გეგმასთან შესაბამისი ბიუჯეტის შემუშავება;

10. უზრუნველყავით ანალიზისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების გაზიარება თვითშეფასების სამუშაო ჯგუფისათვის და მათი შემდგომი გამოყენება თითოეული სტანდარტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისათვის;

11. შემუშავდეს მოქმედი პროგრამების ანალოგ პროგრამებთან დადარების პროცედურა და კრიტერიუმები, რომელიც მიმართული იქნება წამყვანი უნივერსიტეტების (მათ შორის სტუ-ს პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგ პროგრამებთან დადარებაზე და მიღებული შედეგების შემდგომი გამოყენების პრაქტიკის დანერგვაზე.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. სასურველია შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მრავალმხრივად გამოიყენებს სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერ მექანიზმებს

2. სავალდებულო სასწავლო კურსი „ფილოსოფიის საფუძვლები“ ჩაერთოს ჰუმანიტარულ არჩევით სასწავლო კურსებში;

3. სტუდენტებისათვის არჩევითობის გაზრდის მიზნით, შესაძლებელია ჰუმანიტარული სასწავლო კურსების ბლოკი წარმოდგენილ იქნას პირველ და მეორე სემესტრში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს ამ ბლოკიდან აირჩიოს მისთვის საინტერესო სასწავლო კურსები ორი სემესტრის ფარგლებში;

4. გამოიყენეთ ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები სტუდენტების პრაქტიკული უნარებისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისათვის, რაც შესაძლებელია გაიწეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში. მათ შორის შესაძლებელია ორიენტირება გაკეთდეს უცხოელი პროფესურის მოწვევაზე საჩვენებელი და ღია ლექციების ჩატარების მიზნით, სადაც წარმოდგენილი იქნება მათი კვლევითი გამოცდილება და მიღწევები;

5. სასურველია უცხო ენების სასწავლო კურსების მიმდინარე შეფასებაში უფრო მეტი წილი დაეთმოს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს - პრეზენტაცია, დისკუსია, ზეპირი გამოკითხვა და ა.შ.;

6. დაწესებულებამ დანერგოს ელექტრონული გამოკითხვები, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს ფასეულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებს (დრო, ქაღალდი, საბეჭდი მოწყობილობის კარტრიჯი და ა.შ), ამასთან გაზრდის კითხვარების რესპოდენტებისათვის ხელმისაწვდომობას;

7. დანერგეთ პროგრამის გარე შეფასების მრავალფეროვანი მიდგომები - გარე რეფერირება, პერიოდული რევიუირება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

20:47 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ინასარიძე.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09.2012, გადაწყვეტილება №514
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0711, ქიმიური ინჟინერია და პროცესები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55 - სასწავლო კომპონენტი
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. №69, თბილისი, II სასწავლო კორპუსი, 0171, საქართველო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს ელიზბარ ელიზბარაშვილმა, ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ ამ მიმართულებით სადოქტორო პროგრამის შეფასების საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის ყურადღება მიიპყრო პროგრამის სწავლის შედეგებმა, თუ როგორ იყო ჩამოყალიბებული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
კომპონენტი 1.1
- პროგრამის საერთაშორისო ბაზარზე ორიენტირებულობის მისაღწევად შემუშავდეს და მოქმედებაში მოვიდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მრავალმხრივად გამოიყენებს სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერ მექანიზმებს - ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სამაგისტრო/სადოქტორო დონეზე ინტერნაციონალიზაცია უფრო ნათლად უნდა იყოს წარმოჩენილი და შესაბამისად რეკომენდაციის სახით წარმოადგინა ჯგუფმა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავება და რაღაც საკითხების უფრო ღრმად წარმოდგენა;

კომპონენტი 1.2
- განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის- სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაა, რომ პროგრამას თითოეული სწავლის შედეგისათვის ჰქონდეს სწავლის შედეგი, პროცესი დაწყებულია და საჭიროებს ბოლომდე მიყვანას ;
- პროგრამის №6 და №7 სწავლის შედეგები ფორმულირდეს ნათლად, კომპლექსური სწავლის შედეგის განაცხადის სახით და არა პროცესის აღწერით - მათ მოსაზრებით სწავლის შედეგი უნდა ასახავდეს დასრულებულ სწავლის შედეგს და არა პროცესს, როგორ მიდის სწავლის შედეგი ამ პროცესისათვის;

მეორე სტანდარტი, რომელიც შეფასებულია, როგორც „მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ - სასწავლო კურსებთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფს გაკეთებული აქვს შეფასება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, გარკვეული სასწავლო კურსები გასაახლებელია, მოდერნიზებაა საჭირო იმის მიხედვით, რომ მათი სწავლის შედეგები და გამოყენებული სწავლის ფორმატი გარკვეული აცდენაა და ამ მიმართებით საკონტაქტო საათებისა და სწავლა-სწავლების მეთოდებისა და კურსის ლაბორატორიებით წარმოდგენა სასემინარო კურსებში ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვანი საკითხია. ასევე, გარკვეული სასწავლო კურსები, რომლებიც არჩევითია, თუმცა მათ დასახელებას ვერ პასუხობს სასწავლო კურსის შინაარსი, სწორედ ამ კუთხით იყო რეკომენდაციები სასწავლო კურსთან მიმართებით.

დოქტორანტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემუშავებას, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიაა, ბევრი პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოა, რომელიც დოქტორანტს უწევს, რომ განახორციელოს, როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში, ისე კვლევით ინსტიტუციებსა და წარმოებებში, რომელთანაც ინსტიტუციას აქვს შესაბამისი კავშირები/მემორანდუმები ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით დოქტორანტს უნდა ქონდეს მზაობა გარკვეული სასწავლო კურსები ფორმატში, რომ ეს განახორციელოს, თუკი მას არ გააჩნია წინასწარი მზაობა ინდივიდუალური გეგმით უნდა მოხდეს მზაობის ჩამოყალიბება, რადგან ამ მიმართებით უნდა დარწმუნდეს პროგრამა, როდესაც დოქტორანტი კვლევას იწყებს მას გააჩნია ლაბორატორიაში მუშაობის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, შესაბამისად სწორედ ამ მართებით არის 2.5 კომპონენტის რეკომენდაცია წარდგენილი.

რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ რიგი სადისერტაციო თემების დასახელების შეუსაბამობას ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დეტალურ სფეროსთან, აქ გარკვეული თემები, რომლებიც მუშავდება განსახილველი პროგრამის ფარგლებში არის დასახელებით ისეთნაირად წარმოდგენილი, რომ თითქოს განიხილავს ისეთ საკითხებს, რომლებიც აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით არ არის რელევანტური, აქედან გამომდინარე, როდესაც ჩაუღრმავდებიან აღნიშნულ საკითხს, აღმოაჩენენ, რომ ქიმიური პროცესები და ინჟინერია, შესაბამისი დარგობრივი საბჭოს გადასაწყვეტია და რეკომენდაცია არის, რომ სადისერტაციო ნაშრომების დასახელება მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამასთან.

რაც შეეხება სხვა კომპონენტებს, ადამიანურ რესურსებს, ზოგადად სადოქტორო პროგრამის მოთხოვნასთან, პროგრამის ხელმღვანელობას, სადისერტაციო ნაშრომისა და დოქტორანტის ხელმძღვანელობას ეს არის ადამიანური რესურსები, რომლებიც წარმოდგენილია უნივერსიტეტში კვალიფიციური კადრებით, რომელთაც გააჩნიათ დიდი გამოცდილება აღნიშნულ სფეროში, თუმცა არ გააჩნიათ გარკვეული გამოცდილება რეფერირებად ჟურნალებში და მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისა, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ნახა თუ როგორ იყვნენ ისინი წარდგენილნი სხვადასხვა პუბლიკაციებით, გარკვეული ნაწილი პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა წარმოდგენილია ბაზებში, ის აკადემიური პერსონალი, რომელიც პუბლიკაციებით ნაკლებად არის წარმოდგენილი აღმოჩნდა, რომ მეტწილად წარმოდგენილია რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ გრანტებში, შესაბამისად წლების განმავლობაში (10 წელია, რაც მიმდინარეობს პროგრამა), ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები, ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები არ აქვეყნებენ პუბლიკაციებს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რაც განპირობებულია იმით, რომ რუსთაველის ფონდსაც არ ჰქონდა მოთხოვნა და ასევე პერსონალსაც არ გააჩნდა ამ კუთხით მზაობა, აქედან გამომდინარე ის, რომ დოქტორანტს ჰყავს გამოცდილი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია მაღალრეიტინგულ გამოცემებში პუბლიკაციების გამოქვეყნების გამოცდილება, იძლევა კარგ შედეგს, როდესაც დოქტორანტი იღებს სრულფასოვან სერვისს, ერთი მხრივ, მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნების კუთხით, მეორე მხრივ - კვლევის

სრულფასოვნად წარმართვის კუთხითაც, რამაც გამოიწვია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია აღნიშნული სერვისი ყველა დოქტორანტისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი და დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და უზრუნველყოს ის.
გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებით, ინგლისური ენის შესწავლასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ცხადია დიდი სამუშაოებია გადაწევი და აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფი მხრიდანაც აისახა რეკომენდაციებში, რომ დაწესებულებამ უნდა იზრუნოს, მათ შორის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებაზე, პროგრამას აქვს მნიშვნელოვანი მემორანდუმები სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტებთან რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს იმას, რომ დოქტორანტები შესაბამისი სამეცნიერო ბაზებით უზრუნველყოფილნი არიან, მაგრამ საუნივერსიტეტო სივრცეში არსებული კვლევითი ინფრასტრუქტურა საჭიროებს გაუმჯობესებას.
მეხუთე სტანდარტში იყო, რომ ეს არის თვითშეფასება, რომელშიც ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, დაწერილია ძლიერი/გასაუმჯობესებელი მხარეები, ნაწილობრივ ითვალისწინებს თანამედროვე მიდგომებს ანალიზი/შეფასების კუთხით და ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაცია - უზრუნველყავით ანალიზისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების გაზიარება თვითშეფასების სამუშაო ჯგუფისათვის და მათი შემდგომი გამოყენება თითოეული სტანდარტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ როგორც საბჭოს მოეხსენება მე-3 საფეხური განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს და დაუმთავრებელი შრომაა ნებისმიერ პროგრამაზე, რამდენიც არ უნდა იშრომონ, მაინც რჩება, თუმცა რაც შეიძლება ითქვას, დასკვნაში არა მხოლოდ რეკომენდაციები, არამედ რჩევებიც ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც დაწესებულება ძალიან დეტალურად გაეცნო.
მისი თქმით ინტერნაციონალიზაციასთან მიმართებით დაწესებულებას აქვს სამუშაო და თვითშეფასების ანგარიშშიც არის გაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობითი ურთიერთობები დაწესებულებამ გააჩინა, საუბარია შემდგარ თანამშრომლობებზე, აპლიკანტები ძალიან ბევრია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი არის კომისიაში და ენის ბარიერი ძალიან დიდი პრობლემაა, ახლა კი „ონლაინ“ სწავლება ახალი შესაძლებლობაა, რომელსაც უნივერსიტეტი მომავალში გამოიყენებს, ის რაც არის მარტივი ურთიერთობა „ონალაინ“, რუსთაველის ფონდში ფუნდამენტურ კვლევებთან მიმართებით მიმდინარეობს განაცხადების მიღება მალე იწურება, საინტერესო თანამშრომლობით წამყვან უნივერსიტეტებთან და აქტორებთან, რომლებიც არა მხოლოდ აკადემიურ საქმიანობას ახორციელებენ, არამედ ჟურნალისტურს და იკვლევენ სხვადასხვა მიმართულებით, პოლონელები, გერმანელები. დაწესებულებას საზრუნავი ნამდვილად აქვს, ბოლო პერიოდი უკეთესობას აჩვენებს, მაგრამ ეს არ არის ის რაც მათ კმაყოფილების საფუძველს აძლევს, რაც შეეხება სწავლის შედეგებთან მიმართებით, მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ 69/ნ-თან ყოფილიყვნენ თავსებადი, იმ განზოგადებული შედეგების დონესთან, რასაც მერვე საფეხური მოითხოვს.
მე-6, მე-7 სწავლის შედეგებთან მიმართებაში მათი მოსაზრებით არ არის ფრაგმენტული ჩანაწერები, თუმცა გააგრძელებენ მუშაობას და სწავლის შედეგზეა საუბარი, ასეთი მოსაზრება ჰქონდა გუნდს, რომელმაც განიხილა აღნიშნულ საკითხი.
რაც შეეხება კონკრეტული სასწავლო კურსების, კონკრეტული სასწავლო მეთოდების დახვეწას, უფრო მეტად მოყვანას სათაურისა და შინაარსის, ცალსახად გასათვალისწინებელია მისი თქმით ტექნიკური უნივერსიტეტი ყველაზე მეტად მუშაობს დოქტორანტურის პროგრამებზე და ყველაზე ბევრი პრობლემა ამ საფეხურზეა ხოლმე წარმოდგენილი.
ძალიან მნიშვნელოვანია სადისერტაციო თემების დასახელებების თანხვედრა მის შინაარსთან და ზოგადად სფეროსთან, არსებობს ძალიან კვალიფიციური სადისერტაციო საბჭო, რომელიც

უზრუნველყოფს იმას, რომ დასახელებები მაქსიმალურ შესაბამისობაში მოვიდეს შინაარსთან, სპეციალისტებმა პრაქტიკულად დაადასტურეს, რომ სახელწოდებების შესაბამისობა ოპტიმალურადაა შერჩეული შინაარსთან, თუმცა რადგან გარე შეფასებით დადასტურდა, რომ ამ მიმართულებით მეტი ყურადღებაა გასამახვილებელი, მას ახსოვს თუ რა დრო იხარჯება სადისერტაციო ნაშრომების სათაურების განხილვისას, ამ მიმართულებით დაწესებულება კიდევ გააგრძელებს მუშაობას.
დოქტორანტის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინების შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური გეგმის უნიფიცირებული ფორმა დადგენილი, ყველა დოქტორანტს აქვს შედგენილი ინდივიდუალური გეგმა, რომლითაც იგი ახორციელებს კვლევით საქმიანობას, ამ მიმართულებით შიდა შეფასებამ პრობლემა არ აჩვენა, თუმცა, როდესაც საუბარია უზრუნველყოფაზე, განსაკუთრებით ბიუჯეტით უზრუნველყოფაზე და მითუმეტეს მსგავს პროგრამაზე, საკმაოდ დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული და უნივერსიტეტს ეხმარებიან ის პარტნიორული ურთიერთობა, ასევე ის კვლევით ინსტიტუტები, რომლებიც უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს და ფიქრობენ, რომ ამ გამოწვევას შესაძლებლობის მაქსიმუმით პასუხობს უნივერსიტეტი.
უცხო ენასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ იგივე მდგომარეობაა, უბრალოდ დაწესებულებამ ვერ დაადასტურა აქტივობები, არ იქნა წარდგენილი, მაგრამ ძალიან ბევრია.
სამოქმედო გეგმაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასთან დაკავშირებით, სხდომას ესწრება ამ ფაკულტეტის დეკანი, რამდენიმე დღის წინაც მიუვიდათ საკმაოდ დიდი ჩამონათვალი და ფასები რომ დაინახა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს შეეშინდა, საკმაოდ ძვირადღირებულ მოთხოვნებთან არის საჭიროება, რაც უკავშირდება განახლებას, დაწესებულებას აქვს სხვადასხვა ლაბორატორიები, სხვადასხვა კორპუსებში, ზოგადად ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს განახლებას და იმ გეგმით, რაც უნივერსიტეტს აქვს, აღნიშნავენ იუბილეს და იგეგმება სრული რეაბილიტაცია კორპუსისა, არსებობს ფინანსური რესურსებიც, მან განაცხადა, რომ სურვილები აქვთ, თუმცა არ მიყვებათ ფინანსური შესაძლებლობები, თუმცა მაქსიმალურად ზრუნავენ ამ მიმართულებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია შრომის ბაზრისა და ბიუჯეტის საკითხი. ამიტომ კითხვით გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან, მან განაცხადა, რომ დისერტაციებში არის 52, 55, 65, 67, 72 წლების ლიტერატურა მითითებული, „Кислородные соединеные марганца“ 52 წელს დაწერილი, დაინტერესდა დაწერეს თუ არა რაიმე 52 წლის შემდეგ მარგანეცზე და მის ნაერთებზე, არის თუ არა ისეთი ფუნდამენტური ნაშრომი, რომ დაამთავრა საერთოდ, გადააქცია თუ არა საგნად და თუ ნახა ექსპერტთა ჯგუფმა რატომ არ ასახეს დასკვნაში, რადგან სადოქტორო საფეხურზე პრინციპიალური მომენტია, თუ ისეთი ლიტერატურაა, 1776, რომ ადამ სმიტმა „ერების სიმდიდრეები“ ასე უნდა მოიხსენიოს ყველამ.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავა.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, არგუმენტირებულად, მან განმარტა, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უნივერსიტეტში არსებობს, რადგან დაწესებულებას გავლილი აქვს ავტორიზაცია და არსებობს ცენტრალიზებული დოკუმენტი, რაკი გახდა ამის აუცილებლობა, რომ პროგრამის დონეზეც შემუშავდეს, იძლევა თუ არა ის დიდი დოკუმენტი, ცენტრალიზებული სადოქტორო პროგრამების ნაწილში ინტერნაციონალიზაციის კუთხით განვითარების შესაძლებლობებს.
საბჭოს წევრისთვის გასაგებია, რომ ინტერნაციონალიზაციის კუთხით სამეცნიერო პუბლიკაციები აკადემიური პერსონალის უცხოენოვანი კუთხით გასაუმჯობესებელია ბევრი ასპექტი, დაინტერესდა თუ როგორი ვითარებაა დოქტორანტების კუთხით, რადგან მან ვერ ნახა დოქტორანტურის დებულება, ანუ მოთხოვნები დაცვამდე საერთაშორისო კვლევებთან

მიმართებით რა მოთხოვნებია, რა პუბლიკაციების, როგორ რეფერირებად, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში, დასძინა, რომ გულისხმობს საერთაშორისო დონეზე.
სთხოვა განემარტათ 2.4 კომპონენტის რეკომენდაცია, სადისერტაციო თემების შესაბამისობა დეტალურს სფეროსთან, ეს რეკომენდაცია გაჩნდა იმიტომ, რომ დეტალური სფეროს ჩანაწერი გაჩნდა ახალა საკვალიფიკაციო ჩარჩოში და ბოლო ორი წლის დაცულ დისერტაციებთან დაკავშირებით გაუჩნდათ ეს შეკითხვა, თუ ალბათ 120/ნ-შიც იქნებოდა მსგავსი სფერო, დარგი, სპეციალიზაცია, დაინტერესდა არის თუ არა ძველ დისერტაციებში შეუსაბამობა თემებთან, თუ მხოლოდ ბოლო ორი წლის დისერტაციებზეა საუბარი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ანზორ ბერიძეს.
საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე მისალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. დააფიქსირა მისი პატივისცემა ექსპერტთა ჯგუფისა და დაწესებულების მიმართ. მან ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა განემარტათ სადისერტაციო ნაშრომების ნახვის შემდეგ შინაარსობრივი შეფასება. მან განაცხადა, რომ ძლიერი სკოლაა და იქნება ძალიან კარგი სადისერტაციო ნაშრომებიც, მაგრამ დაინტერესდა არსებობს თუ არა მექანიზმი, რომელიც დაიცავს რომ არ გავიდეს სუსტი ნაშრომი.
მან მიმართა დაწესებულებას, აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მექანიზმებისთვის რა მოეთხოვება დოქტორანტს და როგორია დინამიკა, რა იყო 5 წლის წინ და რა გაუმჯობესდა, თუ არის შეცვლილი.
გრანტებთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ საუბარი იყო რუსთაველის ფონდიდან მოპოვებულ გრანტები და ამ გრანტების ფარგლებში შესრულებული კვლევები (მაღალი დონის კვლევები) არ გამოქვეყნებულა ცნობილ ჟურნალებში, საბუნებისმეტყველო სფეროში გაცილებით მარტივად არის გამოქვეყნების საკითხი ვიდრე ჰუმანიტარული/სოციალური მიმართულებით, დაინტერესდა თუ რითია გამოწვეული ეს ყველაფერი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელენე ჟურავლოვას.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ განაცხადა, რომ მან გადახედა ატვირთულ სადოქტორო ნაშრომებს, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია, რომ ყველა კურსდამთავრებული უნდა იყენებდეს ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის თანამედროვე მეთოდებს, ამასთანავე მან ვერ მოიძია თანამედროვე მეთოდების სილაბუსი, ატვირთული ნაშრომებიდან გამომდინარე უმრავლესობა იყო ქიმიური ინჟინერია, მახასიათებლების ქიმიური შესწავლა და მათი გამოყენების პერსპექტივები. საბჭოს წევრი დაინტერესდა ნაშრომებში არის თუ არა სავალდებულო ლაბორატორიული ნაწილი, თუ არის შესაძლებელი ნაშრომი იყოს გამოთვლების და წყაროების დამუშავებით შემოფარგლული, რაც საბჭოს წევრმა, როგორც არაპროფესიონალმა რამდენიმე ნაშრომს შეატყო.
მან განაცხადა, რომ წარდგენილია 2020-ში ჩარიცხულთა სია, თავისი თემატიკით ატვირთული, „თბილისის ზღვიდან წყლის ფაზის გამოყოფა და ბიოლოგიური მახასიათებლის შესწავლა“ არის თუ არა ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია, როგორ ხდება და სადოქტორო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სიახლეს, მან სცადა მოეძიებინა პუბლიკაციები უკვე დაცულ დისერტაციებთან დაკავშირებით, ნახა მხოლოდ რამდენიმე აბსტრაქტი, ერთი დოქტორის. „საქართველოს რეგიონებში წარმოებული ბოსტნეულის ბიოქიმიური შემადგენლობის ცვლილება“, დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენელთა აზრით სიახლეს ამ ნაშრომების, რომელსაც ამტკიცებენ, როგორ უნდა დაამტკიცოს დოქტორანტმა, რომ ეს მანამდე არავის შეუსწავლია/გაუკეთებია და ეს არის სიახლე, რომელიც უნდა შეიცავდეს მის წვლილს, ლაბორატორიულ და ექსპერიმენტარულ წვლილს.
ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ რასაც შეხედა ახალი დებულებით, ითხოვენ ინგლისური ენის B2 დონეს და ახალი დებულებით ერთი პუბლიკაცია მაინც უნდა იყოს მაღალრეიტინგულ ჟურნალში ან დაბეჭდილი, ან მიღებული. დაინტერესდა უკვე დაცული ნაშრომების ავტორები აბარებდნენ თუ არა ინგლისურ ენას, გამოყენებულ ლიტერატურაში რუსულენოვანი წყაროების სიმდიდრე ამით არის

განპირობებული თუ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაკლებია ინგლისურენოვანი ლიტერატურა უფრო მეტად არის რუსულენოვანი, რაც უფრო რელევანტურია საკვლევი თემისა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, თეონა მატარაძეს.
საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე მესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მან განაცხადა, რომ პროგრამაში არის სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა, რომელიც მოიცავს ციტირებას, წყაროებს, წყაროების შერჩევას, ბაზების გამოყენებას, ანუ პრინციპში ამ კურსის საფუძველზე დოქტორანტმა უნდა შეძლოს იმ გაფორმების წესებისა და რელევანტური ლიტერატურის შერჩევა, რომლის შესახებაც დაფიქსირდა პრობლემა საბჭოს წევრებისგან. დაინტერესდა არის თუ არა კურსი ახალი, თუ აქამდეც იყო რატომ არ დაეხმარა დოქტორანტებს ამ ხარვეზების აღმოფხვრაში.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ციცინო თურქაძეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა და შემდეგ აკრედიტაციის საბჭოს მუშაობა ერთმანეთს ავსებს და თუ რაიმე ექსპერტთა ჯგუფს გამორჩა საბჭოსთან განხილვები ამას ავსებს, მაგრამ ლიტერატურასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ შედის იმ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება იყოს 1952 წლის გამოშვება წიგნი ან სახელმძღვანელო, რომელიც შესაძლებელია დოქტორანტმა გამოიყენა ნაშრომისათვის, თუმცა ეთანხმება საბჭოს წევრს, მაშინ სად არის თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც დოქტორანტმა უნდა დაამუშაოს.
მისი თქმით პროგრამა 10 წლიანი მუშაობის პერიოდში განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს, პირველ ეტაპზე იყო პრობლემა სამეცნიერო ბაზებთან წვდომასთან დაკავშირებით, იყო საკითხები, რომლებიც მიღების წინაპირობებს ეხებოდა და პროგრამაზე შეიძლებოდა ჩარიცხულიყო ისეთი დოქტორანტი, რომელსაც კომპეტენცია ნაკლები ქონდა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს წლების წინ დაცული დისერტაციების ხარისხსაც, ამ კუთხით ექსპერტთა ჯგუფი აფასებდა პროგრამასა და იმ მიმართებებს, რომელიც პროგრამამ გაითვალისწინა განვითარებისა და თვითშეფასების ეტაპზე. განვითარდა ბიბლიოთეკის სერვისები, ბაზების ხელმისაწვდომობა ამ კუთხით, ასევე გაუმჯობესდა სამეცნიერო წერის კულტურა ამ დოქტორანტებისათვის და ახალი პროგრამა ითვალისწინებს ახალ მიდგომებს.
საბჭოს წევრის მაკა კაჭარავას კითხვაზე პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტების მოსაზრებით საუნივერსიტეტო ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა იძლევა შესაძლებლობას, მისი მექანიზმები გამოყენებულ იქნას სადოქტორო პროგრამის გასაუმჯობესებლად და ექსპერტთა ჯგუფი ნაკლებად ხედავს მის გამოყენებას ამ მიმართულებით, სწორედ ამიტომ გაიცა რეკომენდაცია და რჩევები.
თემების დასახელებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრს, ელენე ჟურავლოვას. მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფიც იმავე აზრზეა, რადგან „რომელიღაც ზონის ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის კონტროლი და მონიტორინგი“ არ უნდა იყოს ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის პროგრამის ფარგლებში განხილული, მაგრამ თემატიკა ისეა შერჩეული, რომ შესაძლებელია კონტროლის/მონიტორინგის კუთხით იხილავდეს ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის მიდგომებსაც კი, აქედან გამომდინარე ისეთი თემატიკები, რომლებიც შერჩეულია და დასახელებულია არჩევები დღეს მიმდინარე პროგრამაში ძველს უკვე აღარაფერი ეშველება, მოყვანილი უნდა იყოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ქვეშ, სწორად ეს განაპირობებდა 2.4 კომპონენტში გაწერილ რეკომენდაციას.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ შეახსენა კითხვა დოქტორანტების საერთაშორისო კვლევებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ინსტიტუციის ადრინდელი მიდგომა იყო სხვაგვარი, რომელიც ნელ-ნელა იხვეწება და მიდიან საერთაშორისო რეფერირებადი

ჟურნალებისკენ, მანამდე იყო მოთხოვნები, რომ საკმარისი იყო დოქტორანტის პუბლიკაცია რეფერირებად ჟურნალში, რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო საქართველოს სინამდვილეში რეფერირებადი ჟურნალი და ეს მიმართებები პროგრამის მიერ წარმოდგენილია დღეს ისეთი სახით, რომ დოქტორანტს უნდა ჰქონდეს ერთი პუბლიკაცია მაინც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, არის მოთხოვნა. ამ მხრივ თუ პროგრამის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი ვერ აქვეყნებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიას და არ გააჩნია შესაბამისი გამოცდილება, დოქტორანტსაც ვერ ასწავლის სტატიის გამოქვეყნების ნიუანსებს და ვერ უხელმძღვანელებს მას, აქედან გამომდინარე პროგრამაში ყველაზე კარგი შედეგები დაიდო, როდესაც დოქტორანტს ჰყავდა 2 ხელმძღვანელი, სადაც ყველაზე კარგად დაინახეს თანამედროვე ლიტერატურა, რეფერირებად ჟურნალში სტატია/პუბლიკაცია და ა.შ. ეს მიმართება გაჟღერდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, აქედან გამომდინარე იყო რეკომენდაცია, რომ მაქსიმალურად უზრუნველყონ დოქტორანტებისთვის სერვისის შეთავაზება, გამოცდილი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს მეცნიერული/პრაქტიკული გამოცდილება, თუნდაც რუსულენოვანი მოღვაწეობა ამ კუთხით, შეუთავსონ ისეთი ადამიანი, რომელსაც გააჩნია გამოცდილება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამუშავების, ასეთი შესაძლებლობა პროგრამას გააჩნია და ხორციელდება ასეთი პრაქტიკა, სწორედ ამის სითამამე იყო, ის რომ პროგრამის შეფასებასა და რეკომენდაციების გაცემის დროს ასეთი საკითხები წარმოადგინეს, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა პროგრამის პერსონალი Web of science ბაზაში, Scopus-ის ბაზებში, Research gate-ში და შესაბამისად ნახეს, რომ გარკვეული პერსონალი მაღალი დონით არის წარმოდგენილი ბაზებში, რაც პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, დიანა მჭედლიშვილს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ, როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თქვა არსებობს რესურსი თანახელმძღვანელების კუთხით, ვისაც აქვს გამოცდილება მაღალრეიტინგულ გამოცემებში გამოქვეყნებისა, დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფს თუ უფიქრია, როგორია თანაფარდობა დოქტორანტების რაოდენობასთან, საკმარისი იქნება თუ არა ის ადამიანური რესურსი, ვისაც ამის უნარი აქვს დოქტორანტებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ანზორ ბერიძეს.

საბჭოს წევრის, ანზორ ბერიძის თქმით თავიდან ამით დაიწყო საუბარი, რომ დიდი ტრადიციებისა და გამოცდილების მქონე დაწესებულებაა, ვინაიდან სკოლა ძლიერია ბევრი მაღალი დონის ნაშრომიც იქნება, მაგრამ ჩამკეტი მექანზმი, გასულ წლებში რაღაცეები იყო, გარკვეული ნაწილი მთლად კმაყოფილი არ არის სადისერტაციო ნაშრომებით, მაგრამ დღეს არსებული მექანიზმი არის თუ არა ჩამკეტი იმისა, რომ საშუალოზე ოდნავ დაბალი დონის სადისერტაციო ნაშრომი არ გავიდეს დაცვაზე, არის თუ არა საუბარი კონკრეტულ ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებზე და თუ არ არის მაშინ რას თვლიან საჭიროდ, რა უნდა გააკეთოს დაწესებულებამ რომ ეს ჩამკეტი მექანიზმი იყოს, დარწმუნებულია, რომ კვლევები იქნება, მაგრამ შედარებით სუსტი კვლევები ვერ გავიდეს დაცვაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამაზე არ არის ძალიან ბევრი დოქტორანტი და მათი თანაფარდობა პროგრამაში ჩართულ პერსონალთან შესაძლებელია დაცული იყოს, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დოქტორანტთა ზღვრული რაოდენობა ერთ პროფესორზე და ასევე პროგრამას მოწვეული ყავს სხვა ინსტიტუციებიდან და კვლევითი ინსტიტუტებიდან პროგრამაში ჩართული პერსონალი, მათი გათვალისწინებით აბსოლუტურად შესაძლებელია.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა იკითხა თუ რამდენი პერსონალია ჩართული პროგრამის განხორციელებაში, რომლებსაც რეიტინგულ ჟურნალებში აქვთ გამოქვეყნებები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დასკვნაში აღწერილი აქვთ, მე-4 სტანდარტთან მიმართებაში, საუბარია დაახლოებით 10 პერსონალიდან ასეთი იქნება 5, თუმცა ზუსტად არ ახსოვს ციფრი.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, მამუკა მაისურაძემ განაცხადა, რომ სულ არის 33 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი და 25 სტუდენტი, ანუ თანაფარდობა არის 33/25-ზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრის, ანზორ ბერიძის კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ მხრივ პროგრამამ გააუმჯობესა მოთხოვნები, ჩამკეტი მექანიზმი არის ის, რომ სადისერტაციო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე, გარკვეული სხვადასხვა მექანიზმები არის გამოყენებული ინსტიტუციის მხრიდან, მაგრამ ის, რასაც ამბობენ მაღალ რეიტინგულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება, ამას ინსტიტუციის მხრიდანაც გარკვეული მზაობა ჭირდება, მას კი დადგენილი აქვს მხოლოდ რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალში პუბლიკაცია, რაც არ არის მხოლოდ მაღალრეიტინგული ჟურნალები, რასაც ინსტიტუცია შემდგომი მუშაობისთვის გაითვალისწინებს.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, დავით მახვილაძეს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით მახვილაძემ ინგლისურ ენასთან დაკავშირებული კითხვის შესახებ განაცხადა, რომ ინგლისური არ იყო მოთხოვნილი, რეალურად ეს პრობლემა არსებობდა და დრეს პირველი ინდიკატორი არის თუ რა წყაროს ეყრდნობა ნაშრომი და ბიბლიოგრაფია სერიოზული პრობლემა იყო და ამ ეტაპზე გამოყენებული ლიტერატურა გაჯანსაღებულია, მაგრამ არ არის ის, რაც უნდა იყოს, თუმცა ნაშრომები, იგივე კვლევის ეტაპები, რასაც გადის ნაშრომი და რაც ფასდება ბევრად გაუმჯობესებულია, რაც შეეხება ჩამკეტ მექნიზმებს, დაბალი ხარისხის და არ დამსახურებულმა ნაშრომმა არ მიიღო დადებითი შეფასება, ერთი არის აკადემიური ინდექსი, რომელიც საკმაოდ მკაცრი მექანიზმია და პროცენტულ მაჩვენებელთან ერთად კომისია, რომელიც მუშაობს საკმაოდ მკაცრად ამოწმებს პლაგიატის საკითხს და ერთი დამოუკიდებელი ნაშრომის უცხოურ მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოცემის, აქ მსჯელობა მიდის, რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე რამდენად მოასწრებს დოქტორანტი დროში ჩაშვებას და მიიღებს ამის დასტურს, ამაზე მსჯელობდა სამეცნიერო დეპარტამენტი და ფიქრობენ, რომ შესაძლებელია. ასევე, მნიშნველოვანი ჩამკეტი მექანიზმია, რომ ის შედეგები რაც გაწერილია პროგრამაში პირდაპირ ბმაშია და ფასდება პირდაპირი დამოკიდებულებაა დოქტორანტის აქტიურობასთან. კიდევ ერთი სიახლეა, თუ შეადარებენ 5 წლის და იმის წინ გასულ დისერტაციებს რატომღაც შეფასებები ძალიან მაღალია, ბოლო წლებში აქვთ B, C შეფასება, რეალურად ეს მიუთითებს, რომ შეფასებები ვალიდური და ადეკვატური ხდება რასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ბოლო პერიოდში დაიხვეწა სადისერტაციო საბჭოების მუშაობის სისტემა, საბჭო გაყოფილია და დარგობრივად, ფაკულტეტების მიხედვით დაკომპლექტებულია და მნიშვნელოვანია, გარე არა უნივერსიტეტის საზოგადოების წევრი პირებიც აქტიურად არიან ჩართულნი და მათ შორის უცხოელი სპეციალისტებიც, ამ კუთხით საკმაოდ ბევრი ნაბიჯი გადაიდგა. დაამატეს ინგლისური ენა და „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის“ სილაბუსი შეიქმნა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, დიანა მჭედლიშვილს.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, მან განაცხადა, რომ დოქტორანტი და მისი ხელმძღვანელი, რომელიც განაცხადებს, რომ მზად არის დაცვაზე გასასვლელად, არის თუ არა წინაპირობა დაცვაზე გასვლამდე მინიმუმ ერთი პუბლიკაცია მაინც ჰქონდეს გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ impact ფაქტორიან ჟურნალში ან მიღებული მაინც, ამის გარეშე შეძლებს თუ არა დოქტორანტი დაცვაზე გასვლას.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დღეს ეს არ არის ჩადებული, არსებული მდგომარეობა, რომლის დახმარებითაც უფრო მაღლა აიწია თამასა არის,

ერთი დამოუკიდებლად დაწერილი სტატია უცხოური გამოქვეყნებით, რაც დოქტორანტურის დებულებაშიც არის ჩადებული.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ ეს უნდა იყოს უცხოურ რეფერირებად ჟურნალში.
საბჭოს წევრმა დააზუსტა არის თუ არა დაკონკრეტებული რომელ, რა ფორმის, დარგთან მიბმული ჟურნალები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს დაკონკრეტებული არ არის. არის სიტუაცია, რომ გარდამავალ პერიოდში სულ სხვა კუნძულზე ერთიანი დაწესება საკამაო დიდ რისკებთან არის დაკავშირებული, მიდიან იქ სადაც უნდათ, მაგრამ ეს არის ცვლილება, რომელიც განხორციელდა 7 თვის წინ.
საბჭოს წევრმა დააზუსტა უნდოდა თუ არა ეთქვა, რომ ეტაპობრივად წევენ თამასას.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ასეთი ტენდენცია მიდის, თუმცა ამჟამად ეს მოთხოვნა არ არის და საკმაოდ ბევრი არგუმენტი დაიდო, თუ რა რისკებს შეიცავს ამ ტიპის მოთხოვნა თუნდაც კარგი შედეგების მქონე დოქტორანტის პირობებში, ერთი პრობლემა არის დრო, და იყო გარკვეული არგუმენტები რა პრობლემა შეიძლებოდა გამოეწვია ამ ტიპის ჩანაწერს, თუმცა ხარისხის მართვა ემხრობა რაც შეიძლება მაღალი სტანდარტის დაწესებას.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ განცხადა, რომ ბუნებრივია ცვლილების მიზანი იყო ხარისხის გაუმჯობესება, მაგრამ ისე არ გამოვიდეს, რომ საქართველოში შეიძლება გამოდიოდეს ჟურნალი და გაცილებით მაღალი ხარისხის იყოს, ვიდრე ეწეროს რომ უცხოეთში რეფერირებადია, თუ ეს ასე არ არის ინდექსირებადი ბაზებში, რამდენად ზრდის ხარისხს, როგორია დაწესებულების შეფასება, რადგან ძალიან ზოგადი ჩანაწერია და შეიძლება გაცილებით დაბალი დონის ჟუნალი იყოს უცხოეთში რეფერირებადი.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რეალურად არასწორი ტერმინია, მაგრამ საქმიანი ომი, ხარისხის მართვა სწორედ ამ მიმართულებით, სამეცნიერო დეპარტამენტს კურირებს რექტორის მოადგილე, ძალიან აქტიურად მიდის მსჯელობა ამაზე, აბსოლუტურად არ ნიშნავს, რომ საზღვარგარეთ რაღაც დაიბეჭდა და დაწესებულებამ ამით შედეგი მიიღო, შეიძლება ადგილობრივი გამოცემები უფრო მაღალ ხარისხს აწესებდნენ, მანამდე ყველა ნაშრომი, რაც კი ჰქონდა დოქტორანტს თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად რომ გამოექვეყნებინა ესეც ეთვლებოდა, აქ საუბარია ინდივიდუალურ ნაშრომზე, ასევე ინტერციონალიზაციის კუთხით გაჩნდა, ცოტა უფრო მეტი მოთხოვნილი, გარდა ამისა კვლევის ეტაპები, რომლებიც შესაძლებელია პირდაპირ აღარ ფასდება, კვლევით კომპონენტში, ის წყაროები რასაც დოქტორანტი იყენებს შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორია, ამ მიმართულებას დიდი ყურადღება ექცევა. მისთვის გასაგებია, აღნიშნული კითხვები, რომლებიც აბსოლუტურად ლეგიტიმურია, თუმცა დღეს ეს მდგომარეობაა და კიდევ ბევრია გასაუმჯობესებელი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, მამუკა მაისურაძეს.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საუბარი იყო თუ რომელ სასწავლო კურსში ისწავლება თანამედროვე მეთოდები, ეს არის „ქიმიურ ნივთიერებათა შედგენილობის აღნაგობისა და მათი გარდაქმნების თანამედროვე მეთოდები“ და „მასალათა მიღებისა და პროგნოზირების ექსპერიმენტის დაგეგმვის მეთოდები“.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ განაცხადა, რომ პროგრამაში ნახა, რომ ეწერა „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის თანამედროვე მიდგომები“ და ვერ მოიძია მისი სილაბუსი.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა შეახსენა კითხვა ლაბორატორიული მეთოდების აუცილებლობასთან დაკავშირებით.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია ძირითადად ექსპერიმენტულია და ძირითადად კვლევა

გამყარებულია ექსპერიმენტზე, რომელიც ტარდება ლაბორატორიაში, საცდელ წარმოებაში და ა.შ., აღნიშნული პროგრამის შემთხვევაში ძირითადად ლაბორატორიაზეა დამყარებული, თუმცა შესაძლებელია ისეთ დარგებში იყოს კვლევა, როგორიცაა ტექნოლოგიური პროცესების თეორია და სხვა, რომელიც განაპირობებს ტექნოლოგიური პროცესების ასპექტებს და ამ კუთხით ჩატარებული კვლევაც ჩაითვლება, მაგრამ ძირითადად კვლევები წარმოდგენილ ნაშრომებში ეყრდნობა ექსპერიმენტს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სადისერტაციო საბჭოში ხდება თემების წარდგენა, სადაც გადის მონიტორინგს/შეფასებას და შემდეგ კვლევის პროცესში ხდება, სტუდენტის მიერ ჩატარებული კვლევის მონიტორინგი/დაკვირვება. ზოგიერთ მომენტში დასახელება შესაძლებელია მთლიანად ვერ ასახავდეს რეალურად ჩატარებულ კვლევას, რომელშიც აუცილებლად არის ტექნოლოგიური ნაწილი, სიახლე, ამისთვის არსებობს ისეთი ჩამკეტი მექანიზმები, როგორებიცაა პლაგიატი, რომ არ უნდა განმეორდეს უკვე ჩატარებული კვლევა, 3-4 წელია მიმდინარეობს ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე, მიმდინარე წლიდან უკვე სამაგისტრო ნაშრომების შემოწმებაც ხდება, ეს არის-ერთი ჩამკეტი მექანიზმი, რომ ნაშრომი შეიცავდეს სიახლეს და არ იყოს არსებული, ჩატარებული კვლევების გამეორება, სხვა მხრივ ნამუშევარი გადის შემოწმებას, წინასწარ დაცვას და საბოლოო დაცვას, სადაც ხდება მისი შეფასება სადისერტაციო საბჭოზე, ხდება მისი დეტალური განხილვა შინაარსობრივი მხარით, შესაბამისობით და სხვა., წარმოდგენილია კრიტერიუმები, რომლებშიც ერთ-ერთია სიახლის განსაზღვრა, შესაბამისობა კვლევის თემასთან და შეფასება შინაარსობრივი მხარის ხდება, მაგრამ ალბათ მეტი ძალისხმევა მართებთ თემების დასახელებასთან, რადგან უფრო მეტად იყოს წინ წამოწეული საინჟინრო ტექნოლოგიური ნაწილები.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვამ შეახსენა კითხვა ლიტერატურის შერჩევის რუსულენოვანი წყაროების სიმდიდრე დარგის სპეციფიკაა თუ ძველმა დოქტორანტებმა არ იცოდნენ ინგლისური.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დარგის სპეციფიკით არ შეიძლება იყოს ახსნილი და სწორედ ამიტომ აქვთ ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება დაგეგმილი, ჩართეს სავალდებულო წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა და ბუნებრივია დოქტორანტებისათვის უფრო ხელმისაწვდომი იქნება ინგლისურენოვანი ლიტერატურა, თუმცა დღესაც არ ეგულება დისერტაცია, სადაც არ არის გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გაიოზ ფარცხალაძეს.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე დაინტერესდა ხომ არ აქვს დაწესებულებას სადისერტაციო კვლევების/ნაშრომების წარმოებაში დანერგვის შემთხვევები.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა სთხოვა პროგრამის ხელმძღვანელს, თეიმურაზ ჭეიშვილს ეპასუხა კითხვაზე.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დასძინა რომ პროგრამის ხელმძღვანელს, თეიმურაზ ჭეიშვილს ჰქონდა პატენტები.

პროგრამის ხელმძღვანელმა, თეიმურაზ ჭეიშვილმა განაცხადა, რომ დანერგვის პრეცედენტები ჰქონდათ უფრო პრეპარატების ტექნოლოგიაში, არის ასეთი შემთხვევა, ფაგების ჩანერგვა, რომელიც მათმა დოქტორანტმა განახორციელა, ტექნოლოგიურად ახალი მიღებული ფაგები, რაც შეეხება დიდ წარმოებებს ასეთი შემთხვევა ვერ გაიხსენა.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ მან ნახა ერთ-ერთი ნაშრომი, რომელიც შეეხებოდა ბათუმში, შავ ზღვაში გამწმენდი ნაგებობიდან ჩამდინარე წყალს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ იყო ასეთი ძალიან საინტერესო ნაშრომი და დანადგარი მუშაობს იმ რეკომენდაციებით, რომლებიც დოქტორანტმა წარუდგინა წარმოებას. ინდუსტრიულ წარმოებებში ასეთ შემთხვევას ვერ იხსენებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამები, დაინტერესდა არის თუ არა სამაგისტრო პროგრამაც, აკრედიტებულია, სხვა ვადები აქვს, მზადდება თუ „გეფია“.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამა არსებობს და გადის მზადებას სააკრედიტაციოდ წარსადგენად.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საკმაოდ ბევრი მიმართულებით არის გაშლილი სამაგისტრო პროგრამა და ჯერ-ჯერობით ვერ თანხმდებიან ყველა დეტალზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა სადისერტაციო თემებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გამოთქმული მოსაზრებები შეუსაბამობების შესახებ, დიდიხანია დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ ამ საკითხზე, თუ როგორ შეიძლება გამოსწორდეს და ძალიან აქტიურად აკეთებენ მონიტორინგს კოლოქვიუმებისა და წინასწარი დაცვის პროცესში, ყველანაირად ცდილობენ დოქტორანტს მისცენ სწორი მიმართულება, რომ მან გააკეთოს იმ თემატიკითა და მიმართულებით, რაც პროგრამას დასახელებას შეესაბამება, ეს სამუშაო მიმდინარეობს ყოველდღიურად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:51
დასრულების დრო: 22:24

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე მონიტორინგისა და ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1. პროგრამის საერთაშორისო ბაზარზე ორიენტირებულობის მისაღწევად შემუშავდეს და მოქმედებაში მოვიდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მრავალმხრივად გამოიყენებს სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერ მექანიზმებს;
2. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის;
3. პროგრამის №6 და №7 სწავლის შედეგები ფორმულირდეს ნათლად, კომპლექსური სწავლის შედეგის განაცხადის სახით და არა პროცესის ფრაგმენტული აღწერით;
4. კურსებისათვის „მასალათა მიღების, თვისებათა პროგნოზირების და ექსპერიმენტის დაგეგმვის საფუძვლები“ და „თანამედროვე სამრეწველო კატალიზი“ შესაბამისობაში მოვიდეს საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა- 14 სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) ამ კურსების შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;
5. შესწორდეს არჩევითი სასწავლო კურსის „გარემოსდაცვითი ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგია“ სწავლის შედეგები და კურსის შინაარსი, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სფეროსთან შესაბამისობით და აქცენტირება გაკეთდეს ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში გამოყენებულ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებზე (BAT);

6. რიგი სადისერტაციო თემების დასახელება და განსახორციელებელი კვლევები შესაბამისობაში მოვიდეს დეტალურ სფეროს - ქიმიური ინჟინერია და პროცესების, ასევე ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის მიმართულების კვლევის საკითხებთან;
7. რეკომენდირებულია განისაზღვროს სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ, მაღალ რეიტინგულ სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნება;
8. მოხდეს თითოეული დოქტორანტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება კვლევითი კომპონენტის შესრულების მზაობისათვის (კვლევით ლაბორატორიაში მუშაობისასთვის) ინდივიდუალური გეგმის შედგენით ან/და სავალდებულო სასწავლო კურსების ფორმატის გაუმჯობესებით;
9. რეკომენდირებულია, განისაზღვროს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის/ების სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები;
10. დაიგეგმოს და განხორციელდეს პერსონალის ინგლისური ენის შემსწავლელი მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც მხარდაჭერილი იქნება ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით;
11. ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანები პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის;
12. მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით დასახული იმ ამოცანების მიხედვით, რომელიც მიმართულია პროგრამის მატერიალურტექნიკური ბაზისა და პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციების გაუმჯობესებისაკენ;
13. უზრუნველყავით ანალიზისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების გაზიარება თვითშეფასების სამუშაო ჯგუფისათვის და მათი შემდგომი გამოყენება თითოეული სტანდარტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისათვის.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:
1. სასურველია გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზებული რაოდენობა და გამრავალფეროვნდეს მათი შინაარსი;
2. სტუდენტების პრაქტიკული უნარებისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისათვის გამოიყენეთ ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები, მოიწვიეთ ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროში მოღვაწე უცხოელი პროფესურა და მკვლევარები;
3. სასურველია უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული დოქტორანტის კონსულტირება, რათა მან შეძლოს პატენტების მოპოვება და დანერგვაში მონაწილეობის მიღება
4. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით განიხილეთ პროგრამის თანახელმძღვანელობის საკითხი;
5. დაწესებულებამ დანერგოს ელექტრონული გამოკითხვები, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს ფასეულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებს (დრო, ქაღალდი, საბეჭდი მოწყობილობის კარტრიჯი და ა.შ), ამასთან გაზრდის კითხვარების რესპოდენტებისათვის ხელმისაწვდომობას;
6, დაინერგოს პროგრამის გარე შეფასების მრავალფეროვანი მიდგომები - გარე რეფერირება, პერიოდული რევიუირება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი და მეორე ქვეპუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო

სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 18 მაისის 22:26 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ